იგორ გიორგაძე: "სამშობლოში ჩემს დაბრუნებას წინ ვერაფერი დაუდგება!" A3

პანკისის ხეობა - სერიოზული გამოცდა საქართველოს ხელისუფლებისთვის A3

პრეს-ომბუდსმენი B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 19 აგვისტო, 2002 წელი. №78

ფასი 50 თეთრი

## "იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა!"

### სექტემბერში "აზოტი" "იტერას" საკუთრებაში გადავა



საქართველოს მთავრობის დელეგაცია "აზოტში" — ბესო გულაშვილის ფოტო

საქართველოს ხელისუფლება "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემას ძალიან ჩქარობს. გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, "აზოტში" სტუმრობისას, განაცხადა: **"გადაწყვეტილების მიღებას არ დავაგვიანებთ, რადგან დაგვიანება კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის ქარხანასაც და ქვეყანასაც."** ჯორბენაძის თქმით, სწორედ ამ მიზეზით გადაწყდა პრივატიზება პირდაპირი გაყიდვის წესით განხორციელებულიყო და არა კონკურსის სახით. **"კონკურსში მხოლოდ და მხოლოდ "იტერა" მიიღებდა მონაწილეობას და ამას, პროცედურების მიხედვით, რამდენიმე თვე დასჭირდებოდა. პირდაპირი მიყიდვისას კი ეგ თვეები აღარ დაიკარგება,"** - განმარტა მან.

"აზოტის" "იტერასათვის" გადაცემის ფორმის შერჩევას სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი ასე ხსნის: **"საერთოდ, მავანნი ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებენ ინვესტორებს და არ ითვალისწინებენ საწარმოში არსებულ მდგომარეობას. "აზოტს" დაახლოებით 100 მილიონი ლარის კრედიტორული დავალიანება გააჩნია. ეს ძალიან დიდი თანხაა და ესეც გასათვალისწინებელია, მესაკუთრეს ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც მოტივაცია, რომ აქ ინვესტიციები განახორციელოს? ამიტომაც მიენიჭა უპირატესობა პირდაპირი გაყიდვის პრონციპს."**

"აზოტი" უკვე ერთი წელია, სამწლიანი რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს. რეაბილიტაციის მმართველი ნიკოლოზ ბაკაშვილი "იტერას" ამჟამინდელ საქმიანობას "აზოტში" დადებითად აფასებს, თუმცა, იქვე აცხადებს: **"გაკოტრების საქმეთა წარმოების კანონიდან გამომდინარე, ნებისმიერი ინვესტორის მიერ საწარმოში შემოსვლა გარკვეულ რისკ-ფაქტორთანაა დაკავშირებული. რეაბილიტაციის პროგრამის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გაკოტრების საქმე გაიხსნება და ინვესტორი საკუთრებას დაკარგავს. "იტერამ" აუცილებლად უნდა გამონახოს დამატებითი ინვესტირების საშუალებები, რათა ბოლოს გაკოტრებულად არ გამოცხადდეს."**

გუშინ სახელმწიფო მინისტრი "აზოტს" იმის გასაგებად ეწვია, თუ რას ფიქრობენ იქ "იტერაზე", როგორც ქარხნის მომავალ მეპატრონეზე. **"ჩვენც იმ აზრის ვართ, რა აზრისაც არის ხელმძღვანელობა და საქართველოს პრეზიდენტი." "ჩვენ თანახმა ვართ, სხვა გამოსავალი არცა გვაქვს,"** - იყო პასუხი. ქარხნის გაყიდვის საკითხის დასმამ მხოლოდ ერთი და, ალბათ, მთავარი კითხვა გაუჩინა იქ მომუშავეებს - ხომ არ შემცირდება სამუშაო ადგილები? **"მთავარია, არ გავჩერდეთ და არ მოხდეს შემცირება,"** - ამბობენ აზოტელები.

"აზოტში" ინვესტორის შემოსვლას ხსნასავით ელის ადგილობრივი ხელისუფლება. გუბერნატორი ლევან მამალაძე არ მალავს, რომ მისთვის ეს საკითხი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც შესაძლებელი გახდება "აზოტის" მხრიდან საბიუჯეტო დავალიანების გასტუმრება. ის "იტერასაგან" საბიუჯეტო ვალების დაფარვის მკაცრად გაწერილი გეგმის შემუშავებას ითხოვს, რადგან **"ვალების გასტუმრების გადავადების შემთხვევაში, ქალაქის ბიუჯეტი შეუვსებელი დარჩება."** წესით ეს მოსაზრება რუსთავის მერს უნდა გამოეთქვა, მაგრამ ის გუშინ "აზოტში" არ მისულა.

ორ-სამ დღეში "იტერა" ქონების მართვის სამინისტროს ქარხნის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ ბიზნეს-გეგმას წარუდგენს. "აზოტის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე ვარაუდობს, რომ მიყიდვის პროცესი, სავარაუდოდ, სექტემბერში დასრულდება: **"ჩვენ ბიზნეს-გეგმაში ვდებთ კაპროლაქტამის გაშვებას, ამიაკის პირველი აგრეგატის რეაბილიტაციას, ენერგოსისტემაში დიდი თანხების ჩადებას. მოთხოვნები ძალიან მკაცრი იქნება, მჭიდრო ვადები და რთული ვალდებულებები, არავითარი შემცირება."**

ქვეყნისათვის სტრატეგიულ ობიექტად მიჩნეული "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემის მიზანშეუწონლობაზე ამ კომპანიის რუსული წარმოშობის გამო საუბრობენ. საქართველოს ხელისუფლება კი ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესები არ არსებობს და მხოლოდ კერძო ბიზნესის ინტერესებზეა ლაპარაკი. **"ვინც ცდილობს, რომ "იტერასთან" პარტნიორობა პოლიტიკურ ასპექტში გადაიყვანოს და ამით ხელი შეუშალოს პროცესის განვითარებას, ის ადამიანები არც თქვენზე, არც თქვენს ოჯახებზე, არც რუსთავისა და საქართველოს მომავალზე არ ფიქრობენ,"** - განუცხადა ჯორბენაძემ აზოტელებს და "იტერას" საქმეების მოგვარების შემდეგ საკუთარი პარტიის საქმეების მოგვარებასაც შეეცადა. მან 3500 აზოტელს მთელი გულით შესთავაზა: **"საქართველოში ერთი მშვენიერი პარტიაა და რჩევას მოგცემთ მოქალაქეთა კავშირში შესვლასთან დაკავშირებით."**

*"24 საათი"*

## სცილდება თუ არა „იტერას" ინტერესები ეკონომიკის სფეროს?

მაია ურუშაძე
გიორგი კალანდაძე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნას რუსეთის პოლიტიკას არ უკავშირებს. ამ თემის შესახებ თბილისის სახელისუფლო წრეებში ხშირად იმეორებენ, რომ პოლიტიკის და ბიზნესის ინტერესები ერთმანეთისგან უნდა გაიყოს, რომ "იტერა" ამერიკულ ფესვებზე დაფუძნებული კომპანიაა და არაფერი აქვს საერთო საქართველოში რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან და ა.შ. დღეს საქართველოს მთავრობაში ჯიუტად აღარ იხსენებენ იმ პერიოდებს ქვეყნის უახლესი ისტორიიდან, როდესაც მოსკოვი საქართველოზე ზეწოლას "ამერიკული" კომპანიის "იტერას" ხელით ახორციელებდა. ეს კომპანია, რომელსაც, თურმე, მხოლოდ საკუთარი ბიზნეს-ინტერესები ამოძრავებს და არაფერი აქვს საერთო რუსეთის პოლიტიკურ მიზნებთან, მაშინ უწყვეტდა გაზს საქართველოს, როდესაც მოსკოვი თბილისისგან მისთვის სასარგებლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას ელოდა.

### "ტაჰალი", რომელმაც "იტერას" საქართველოს გაზმეურნეობისაკენ გზა გაუთავისუფლა

"იტერას" წარმატებულ იერიშამდე, "თბილგაზისა" და საქართველოს თითქმის მთელი გაზმეურნეობის კონტროლის დასაუფლებლად, საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ისრაელის კომპანია "ტაჰალთან". საქართველოს სამთავრობო წრეებში "ტაჰალი" "იტერას" საპირწონედ აღიქმებოდა. თუმცა, როდესაც მოლაპარაკება თბილისელთათვის ყველაზე მტკივნეულ თემას, გაზის სამომხმარებლო ტარიფის

გაგრძელება A2 გვერდზე

## პანკისი, კოდორი, გაზი - სამი ნაღმი საქართველოს ასაფეთქებლად

### "იტერას" გარდა, რუსეთს საქართველოზე ზეწოლის რეალური ბერკეტები აღარ დარჩა

ზაზა წულაძე

*"პანკისის ხეობაში მოკალათებული ჩეჩენი ბოევიკები დიდი ძალებით შეიჭრებიან ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიებზე, რუსეთის არმია მათ ძლიერ დატყმას მიაყენებს, უკუაქცევს და საბოლოოდ გასანადგურებლად საქართველოს ტერიტორიაზე გადმოყვება. რუსეთი ან აიძულებს საქართველოს, დათანხმდეს ხეობაში ერთობლივ ოპერაციას, ანაც მარტო განაგრძობს პანკისში წმენდას. სანამ ხეობაში რუსებსა და ჩეჩნებს შორის ბრძოლები მიმდინარეობს, სიტუაცია ფეთქდება აფხაზეთშიც, ქართველი პარტიზანები ან "დაუდგენელი ჯგუფები" იერიშს მიიტანენ გალისა და კოდორის მიმართულებით, რასაც აფხაზების საპასუხო რეაქცია მოჰყვება. აფხაზების ფორმირებები ქართველებს ზუგდიდამდე გადმორეკავენ, დაიკარგება კოდორის ხეობა, რაც ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ თბილისში პანიკისა და მასობრივი არეულობის დაწყების მიზეზი გახდება. ხალხი და ოპოზიცია პრეზიდენტ შევარდნაძის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვენ. ხელისუფლება ვითარებაზე კონტროლს კარგავს, იწყება ანარქია. გადადგება თუ არა შევარდნაძე და ვინ შეცვლის მას, ამას ამ სცენარის ავტორებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოზე გამავალ ნავთობსადენსა და გაზსადენში დიდი ფულის დაბანდების ყოველგვარ სურვილს დაკარგავენ. საქართველო კი დაკარგავს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის ფუნქციას და კვლავ რუსეთის სატელიტ ქვეყნად დარჩება."*

გაგრძელება A3 გვერდზე

## სახელმწიფო ქონებით ნაყიდი სტაბილურობა

ეკა კვესიტაძე
გიორგი კალანდაძე

**"გაზის მიწოდება რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების ყველაზე სერიოზული ბერკეტია. ბუნებრივი აირის პერიოდული შეწყვეტით, განსაკუთრებით კი ზამთრის განმავლობაში, რუსეთი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ შეუძლია, ეს ბერკეტი ყოველთვის გამოიყენოს. გაზის მოწოდებასთან ამერიკულ კომპანია "ეი-ი-ესსაც" უზარმაზარი პრობლემები შეექმნა, იმისდა მიუხედავად, რომ ის გაზის საფასურს ყოველთვის იხდიდა. თავდაპირველად, "ეი-ი-ესს" კონტრაქტი "ინნეფტეგაზსტროისთან" ჰქონდა გაფორმებული, მოგვიანებით კი, როცა გაზის მოწოდება ამ კომპანიამ შეუწყვიტა, "ეი-ი-ესს" სთხოვეს, რომ ხელშეკრულება უკვე "იტერასთან" დაედო. ბოლო დროს საქართველოში გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული მოვლენები კი აშკარად მიანიშნებს, რომ "იტერას" კრემლის ცალკეული ოფიციალური პირები პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად იყენებენ",** - ასეთი შეფასება დაახლოებით ერთი წლის წინ გაკეთდა ვაშინგტონის სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის, იგივე ზბიგნევ ბჟეჟინსკის, ცენტრში.

**"იტერამ" უკვე ხელში ჩაიგდო გაზგამანაწილებლების უდიდესი ნაწილი სომხეთში, უკრაინაში და ყაზახეთში და ახლა, როგორც ჩანს, მიზანში საქართველო ჰყავს. ნათელია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ვალის დაგროვებაში "დახმარება" და შემდგომ ამ ვალებში სახელმწიფო ქონების მოთხოვნა, "იტერას" ბიზნეს-გეგმის ნაწილია,"** – აცხადებდა მაშინ ამ ცენტრის კავკასიის პროექტის ხელმძღვანელი ზეინო ბარანი.

დღეს სომხეთთან, უკრაინასთან და ყაზახეთთან ერთად, საქართველოც შევიდა იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რიცხვში, სადაც "იტერა" გაზის მიმწოდებელიც იქნება და გამანაწილებელიც, ანუ გაზის ბაზარზე სრული მონოპოლიის უფლებით აღიჭურვება.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ "იტერა" რამდენჯერმე უარით გაისტუმრა, საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტმა დღეს "თბილგაზის" სწორედ "იტერას" სასარგებლოდ გასხვისება.

მთავრობამ რამდენჯერმე ახსენა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან, ფიასკოთი დამთავრებული ტენდერის შემდეგ, "იტერას" ალტერნატივა არ აღმოაჩნდა. თუმცა, "იტერას" უალტერნატივობასთან ერთად, "თბილგაზის" გაყიდვასთან დაკავშირებული პოლიტიკური დებატების დროს ყველაზე ხშირად სიტყვა დესტაბილიზაცია ისმოდა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა "იტერა", რომ ზამთარში გაზი იყოს და ამით დესტაბილიზაცია თავიდან აიცილოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკი კოკოითის ახლობელია

თამარ კაციტაძე

საქართველოს პრეზიდენტმა ცხინვალის რეგიონში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის დამკვირვებლის, ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გათავისუფლებისათვის ქართველ სამართალდამცველებს ორდღიანი ვადა მისცა. დღეს ეს ვადა, ფაქტობრივად, უკვე ამოწურულია, მაგრამ დურგლიშვილის გათავისუფლებას, ჯერჯერობით, პირი არ უჩანს.

რა სამართლებრივი გზებით უნდა მომხდარიყო ქართული მხარისთვის გაუკონტროლებელ ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გახსნა, მართალია, პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ძალოვნების უსიტყვო თანხმობა ვიღაცისთვის აშკარად დამაიმედებელი აღმოჩნდა. არადა, ქართული კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ადგილის მიხედვით უნდა აღიძრას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან დურგლიშვილის გატაცება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება, საქართველოში ვიცე-პოლკოვნიკის გატაცების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა. ქართველი სამართალდამცველები კი ოს კოლეგებთან მოლაპარაკების იმედად არიან დარჩენილნი. სხვათა შორის, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, დურგლიშვილის გათავისუფლებით თავად ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, კოკოითიც ყოფილა დაინტერესებული. მას, თურმე, პრეზიდენტ შევარდნაძისთვის დაურეკავს და უთქვამს, დურგლიშვილის გასათავისუფლებლად ყველაფერს გავაკეთებ, რადგან იგი ჩემი ახლობელიაო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დურგლიშვილის დის შვილი კოკოითის დაცვის უფროსი ყოფილა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 26 | |
| ქობულეთი | 27 | |
| სოხუმი | 27 | |
| ფოთი | 27 | |
| თელავი | 28 | |
| ზუგდიდი | 29 | |
| გორი | 26 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1756 |
| ევრო | 2.1293 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3363 |
| რუბლი | 0.0689 |

## სტურუას მოლოდინში

B1



რობერტ სტურუა რეპეტიციაზე — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## ტრეფიკინგი - ნახევრად ლეგალური დანაშაული, რომელიც არ ისჯება

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას სიტყვა ტრეფიკინგი საერთოდ არაფერს ეუბნება, თუმცა, იმავე მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ დანაშაულის მსხვერპლიც კი გამხდარა. ტრეფიკინგი ნიშნავს უცხო ქვეყანაში ადამიანის მოტყუებით გადაყვანას, იქ მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას და მუშაობის იძულებას. სამუშაო კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ოღონდ სასიამოვნო - თითქმის არასდროს.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, ქალთა ტრეფიკინგის პრობლემა დგას. ქალები, როგორც წესი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. მათ უცხო ქვეყანაში, სადაც ნორმალურ სამუშაოსა და ოქროს მთებს პირდებოდნენ, აიძულებენ, ბორდელებში იმუშაონ. ოფიციალურად არსებული მონაცემები რეალობას სრულად არ ასახავს, თუმცა, შეშფოთების საფუძველს მაინც იძლევა. როგორც აღმოჩნდა, მარტო ინტერპოლის მონაცემებით, მხოლოდ 1997 წელს, პროსტიტუციისათვის 98 ქალი იქნა დაკავებული თურქეთში და 4 - საბერძნეთში. ზოგადად, ტრეფიკინგის თვალსაზრისით, სამი პოზიციის ქვეყნები არსებობს: მიმწოდებელი, გამტარი და მიმღები.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A4 სამართალი

B2 რეკლამა B3 პრეს-ომბუდსმენი B4 სპორტი

**თბილისი.** ევროკავშირმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციის რეგიონული პროგრამის ფარგლებში, შეიმუშავა პროექტი, რომელიც 42 თვეზეა გათვლილი. როგორც კავკას-პრესს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ამჟამად მიმდინარეობს ამ პროექტის განხილვა ქართულ მხარესთან.

პროექტის მიზანია ძველი თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნება კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაზე.

საქართველოსა და ევროსაბჭოს შორის შეთანხმების ხელმოწერამდე, სექტემბრის პირველ ნახევარში ამასთან დაკავშირებით განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა ამოცანაა - სიტუაციის ტექნიკური შეფასება მომავალი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის და ტექნიკური ჯგუფის შექმნა, ისტორიული შენობების შესანარჩუნებლად. ამჟამად თბილისში იმყოფება ევროსაბჭოს 4 ექსპერტი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე შეისწავლიან სიტუაციას და ამ საკითხებზე ქართველ კოლეგებთან ერთად იმუშავებენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**გროზნო.** ჩეჩნეთის ქალაქ შალიში მოკლეს ჩეჩნეთის მილიციის თანამშრომელი ასლანბეკ ჯაბრაილოვი და სამი ადგილობრივი მცხოვრები. დღეს შს რაიონულ განყოფილებაში ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მათი გვამები აღმოაჩინეს ავტომანქანა "გაზელის" საბარგულში, რომელიც უცნობმა პირებმა ლუგოვაიას ქუჩაზე მიატოვეს.

მოკლულებს სხეულზე აღენიშნებათ ტყვიით მიყენებული ჭრილობები. მომხდარის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. წინასწარი მონაცემებით, დამნაშავეებმა ისინი სხვა ადგილას დახოცეს, შემდეგ კი იქ გადაიტანეს.

გარდა ამისა, შალის ცენტრში უცნობი პირები ყაჩაღურად თავს დაესხნენ მილიციელ ადამ სულეიმანოვს და მისთვის კალაშნიკოვის ავტომატის წართმევას შეეცადნენ. მილიციელმა მათ პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნა, რის გამოც ბანდიტები იძულებულნი გახდნენ, მიმალულიყვნენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წელს ქართულ ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნახევრადგადამუშავებული ოქროს გატანას. როგორც კავკას-პრესს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნახევრადგადამუშავებული ოქროს ექსპორტმა 6,4 მილიონ დოლარს მიაღწია.

ეს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 100 - პროცენტიან ზრდაზე მიუთითებს, რადგანაც 2001 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ამ სახეობის საქონელი არ გაუტანია. სულ, ნახევრადგადამუშავებული ოქროს ექსპორტმა რეგისტრირებული ექსპორტის სეგმენტში მეორე ადგილი დაიკავა და 11,4 პროცენტი შეადგინა. ქართული ოქროს ძირითადი მომხმარებელი ინგლისია. მთელი ეს პროდუქტი იქ გაიგზავნა.

მიმდინარე წელს ექსპორტის მიხედვით პირველ ადგილზეა შავი ლითონების ჯართისა და ფეროშენადნობის გატანა - 16 პროცენტი. ეს პროდუქცია უმთავრესად გააქვთ რუსეთსა და თურქეთში. წელს ასევე შავი ლითონების ჯართი და ფეროშენადნობები საბერძნეთსა და აშშ-იც გაიტანეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც კავკას-პრესს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, გასულ სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რიცხვი 8,5 ათასი ადამიანით გაიზარდა.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი 18 ფილიალით, და 153 არასახელმწიფო ინსტიტუტი, უნივერსიტეტი და აკადემია. ყველა ამ სასწავლებელში 2002 სასწავლო წლის დასასრულს სწავლობდა 147,4 ათასი სტუდენტი. აქედან 44,5 პროცენტი (65,5 ათასი) სწავლობდა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფასიან განყოფილებაზე, 33,9- იმავე სასწავლებლების უფასო განყოფილებაზე, ხოლო 21,6 პროცენტი კი - კომერციულ სასწავლებლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობის ზრდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბოლო წელს მაგისტრატურაში სწავლის მსურველთა რიცხვი 2,5-დან 2,9 ათასამდე გაიზარდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ურეკში გაიმართა სარკინიგზო ვაგზლის ახალი შენობის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ გურიის რეგიონის ხელმძღვანელები, ასევე საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე, შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე.

როგორც მან პრეზენტაციაზე განაცხადა, უახლოეს მომავალში ურეკი იქცევა საქართველოს შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად და ვაგზლის შენობის მშენებლობა ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას. ცნობისათვის - აკაკი ჩხაიძე წარმოშობით ურეკიდანაა. "დარწმუნებული ვარ, რომ ეს კურორტი დამსვენებელთა ინტერესებს მოემსახურება," - აღნიშნა მან და დასძინა, რომ ბოლო წლებში ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ვაგზლის მშენებლობის პირველი შემთხვევა.

ჩხაიძის ცნობით, უახლოეს მომავალში რკინიგზის ვაგზლის ახალი შენობა ბათუმშიც აშენდება. ღონისძიებაზე დამსწრე რეგიონის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ არსებობს ურეკის აღორძინების გეგმა, რომელიც უნდა იქცეს დასვენების ადგილად არამარტო საქართველოს მცხოვრებთათვის, არამედ მან საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციებიც უნდა დააინტერესოს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კურორტის სამკურნალო დანიშნულებას. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** აშშ-ში ადამიანის კლონირების პირველი ოპერაციისთვის ემზადებიან. ცნობილი ამერიკელი მედიკოსი კანაიოტის ზავოსი, რომელიც უშვილობას მკურნალობს, მზად არის, აშშ-ში ადამიანის კლონირების პირველი ოპერაცია ჩაატაროს.

მედიკოსის თქმით, პაციენტები უშვილო ცოლ-ქმარია. მის კლინიკაში, რომელიც კენტუკის შტატში მდებარეობს, ოპერაციის გაკეთებას კიდევ შვიდი წყვილი აპირებს. ოპერაციის შედეგად დაბადებული ახალშობილი უშვილო ქალის გენეტიკური ასლი იქნება. „ჩვენ გავიარეთ მძიმე გზა ადამიანის კლონირების მისაღწევად და ვფიქრობთ, წარმატება გარანტირებულია", — აცხადებს ექიმი ზავოსი.

ოპერაციებს კლონირების განხრით ცხრა უძლიერესი სპეციალისტი გააკეთებს. „საქვეყნოდ ვაცხადებ, ჩვენ არ ვაპირებთ მონსტრების შექმნას, უბრალოდ, ადამიანებს მათი ცხოვრებისეული ფუნქციის შესრულებაში ვეხმარებით", — აცხადებს ექიმი ზავოსი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ადამიანის ორგანიზმზე დიზელის ძრავის მუშაობის უარყოფითი მოქმედება გამოავლინა.

დიზელის მუშაობის შედეგად ატმოსფეროში გამოყოფილ ნაწილაკები იმუნური სისტემის დარღვევებს იწვევს. ამის შედეგად ხშირდება ანთებითი პროცესები, ალერგიული რეაქციები.

გამოვლინდა, რომ დიზელის ძრავის გამონაბოლქვი ბრონქული ასთმის განვითარებასაც იწვევს. ადამიანის ორგანიზმი უვნებელ ნივთიერებებზე, მაგალითად, ყვავილის მტვერზე რეაგირებს. ამის შედეგად მას უვითარდება რიგი დარღვევები, სურდოდან დაწყებული და ასთმით დამთავრებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ორშაბათს ორდღიანი ვიზიტით თბილისს ეწვევა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აცნობეს, თბილისში ვიზიტისას ლენარტ იუჰანსონი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება და ქართული ფეხბურთის განვითარების საკითხებზე ესაუბრება.

ამასთან, თბილისში ვიზიტისას ლენარტ იუჰანსონი უეფას ორდენით დააჯილდოებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს, მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის - "ქართული ფეხბურთის სახლის" გახსნის საზეიმო ცერემონიალში, დაათვალიერებს "ლოკომოტივის" ახლადაშენებულ სტადიონს და ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკური ცენტრის მშენებლობას.

ლენარტ იუჰანსონთან ერთად დელეგაციის შემადგენლობაში შედიან უეფას პირველი ვიცე-პრეზიდენტი სენეშ ერზიკი და აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს ხელმძღვანელი ერიხ ეპლე.

აღსანიშნავია, რომ ლენარტ იუჰანსონის ვიზიტი წინ უსწრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, 24 აგვისტოს დანიშნულ მეხუთე ყრილობას, რომელზეც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" კოალიციური გაერთიანებაა და "სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების შემოკრების უნარ-ჩვევებს თვითონ ატარებს".

მისი თქმით, "ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტში" გაერთიანებული "რესპუბლიკური" და "ლიბერალურ-ეკონომიკური" პარტიები უკვე იყვნენ 1999-2001 წლებში კოალიციაში "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან" და "თავისი შესაძლებლობები ამოწურეს".

ორ ივნისს არჩეული თბილისის საკრებულო სასამართლოს მიერ "ეროვნულ-დემოკრატიული" და "სახალხო" პარტიების სარჩელის საფუძველზე ვერ იკრიბება, რომლითაც არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას მოითხოვენ, რაზეც "ნაციონალური მოძრაობა" საკმაოდ განაწყენებულია, - აღნიშნა მან.

გარდა ამისა, ბერძენიშვილის აზრით, ჯერჯერობით შეუძლებელია "ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტში" გაერთიანებული ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" მჭიდროდ თანამშრომლობა იმ კოალიციის პარტიებთან, რომლებიც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ 1991-93 წლების სამოქალაქო ომის დროს.

ამასთან, "რესპუბლიკელებიც" უპირისპირდებოდნენ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ იარაღის გარეშე. "ედპ-ს არათუ იარაღი ეჭირა, იმათ, ვისაც იარაღი არ ეჭირა, საყვედურსაც ეუბნებოდა", - თქვა მან.

ბერძენიშვილის განცხადებით, ბოლო 7 წლის განმავლობაში ერთ გუნდში მყოფი ზურაბ ჟვანიას და მიხეილ სააკაშვილის სხვადასხვა გაერთიანების წევრობა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

"ძირითად იდეოლოგიურ საკითხებში მათ შორის აზრთა სხვაობა არ არის," - აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მილანის" ქართველი ლეგიონერი, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი კახი კალაძე უახლოეს დღეებში თბილისში ჩამოსვლას და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრას აპირებს ძმის - ლევანის, საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გასული წლის 23 მაისს თბილისიდან გაიტაცეს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს კალაძეების ოჯახთან დაახლოებულმა პირმა, პარლამენტარმა ბეჟან ხურციძემ აცნობა.

მისი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ლევან კალაძის მამა კარლო კალაძე კვლავ შეხვდა შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს.

კახი კალაძემ უარი განაცხადა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, მანამდე, სანამ ლევანს არ გაათავისუფლებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და ნატო-ს ინტეგრაციის საკითხებს მიეძღვნება ევროპაში აშშ-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილის დიტერ შტოკმანის, 19-20 აგვისტოს ვიზიტი თბილისში, - აცნობა პრაიმ-ნიუსს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, ეს ვიზიტი თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელის დავით თევზაძის მიწვევით შედგება.

დიტერ შტოკმანი საქართველოს არმიაში მიმდინარე რეფორმებისა და 64 მილიონ დოლარად ღირებული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის განხორციელებას გაეცნობა, - აღნიშნა მან.

სტუმარი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

# სცილდება თუ არა „იტერას" ინტერესები ეკონომიკის სფეროს?

პირველი გვერდიდან

საკითხს შეეხო, გაირკვა, რომ "ტაჰალი" ტარიფის თითქმის ორჯერ გაზრდას მოითხოვდა. ამ პირობებზე დათანხმება ხელისუფლებისთვის ხარაკირის ტოლფასი იქნებოდა. შედეგად, "ტაჰალი" "თბილგაზის" მიღმა დარჩა. ისე კი, როგორც ეს საქართველოში ხშირად ხდება ხოლმე, საზოგადოებამ ბევრი ვერაფერი შეიტყო "ტაჰალთან" მოლაპარაკების დეტალების შესახებ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ "ტაჰალმა" ვერ შეძლო "თბილგაზის" პროექტში თავის პარტნიორთან, ჰოლანდიურ "გაზტეკთან" შეთანხმების მიღწევა და თბილისის გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის საჭირო ფინანსები ვერ იშოვა. რაც შეეხება გაზის ტარიფის საკითხს, ამ თემაზე როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე "ტაჰალის" წარმომადგენლები მას შემდეგ ალაპარაკდნენ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ისრაელის კომპანიისთვის "თბილგაზი" მიუწვდომელი გახდა.

დღეს საქართველოს მთავრობის ცალკეულ წევრებს უყვართ იმის აღნიშვნა, რომ ყველანაირად ეცადნენ, ხელიდან არ გაეშვათ ბოლო "მაშველი რგოლი" – "ტაჰალი", რითაც, პრინციპში, ადასტურებენ მოსაზრებას "იტერას" საქართველოს გაზმეურნეობაში უფრო აქტიური მონაწილების მიზანშეუწონლობის შესახებ. თუმცა, ერთი რამ ცხადია: "ტაჰალთან" მოლაპარაკება ძირშივე წარუმატებლობისთვის იყო განწირული, თუ, რა თქმა უნდა, ისრაელის კომპანია ნამდვილად აპირებდა საქართველოს ბაზარზე შემოსვლას. "იტერას" ვალებით დამძიმებული საქართველოს გაზმეურნეობა დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა რუსული კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების გასტუმრებას, თანაც, არც "ტაჰალი" იძლეოდა იმის პირობას, რომ დაარეგულირებდა "იტერასთან" ურთიერთობებს ან "თბილგაზისთვის" გაზს სხვა მომწოდებლისგან მიიღებდა.

შედეგად მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ჰორიზონტზე "ტაჰალის" გამოჩენისთანავე "იტერამ" "თბილგაზსა" და საქართველოს მთავრობას ვალების გასტუმრება მოსთხოვა და, დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, თბილისს გაზის მიწოდება შეუწყვიტა. თბილისში ჯერ კიდევ მაშინ მიიჩნევდნენ, რომ "იტერამ" "თბილგაზის" პრივატიზების პროცესს ხელოვნური ბარიერებით შეუშალა ხელი.

ამის შემდეგ კი მოვლენები ასეთი თანამიმდევრობით განვითარდა: მოსკოვიდან, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს სხდომიდან, დაბრუნებული ჯორბენაძე არაორაზროვან მინიშნებებს აკეთებს "თბილგაზში" გამეფებულ კორუფციასა და **"ქართული სტრუქტურებისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ცოდვებზე"**, რომელთა შესახებაც მას "იტერაში" აცნობეს. სახელმწიფო მინისტრის მოქნეული მათრახი თბილისის მერიის ჩინოვნიკებსაც ხვდებათ. მისი ეს სიტყვები ერთმნიშვნელოვნად მოასწავებს, რომ ხელისუფლებას აღარ სურს "თბილგაზის" მუნიციპალურ დაქვემდებარებაში დატოვება და მისთვის უფრო "შესაფერისი" ადგილი აქვს გამონახული(რასაკვირველია, "იტერას" პრეზიდენტთან, იგორ მაკაროვთან მოთათბირების საფუძველზე).

ის მილიონნახევარი დოლარი, რომელიც ამ ორიოდე თვის წინ ქალაქის მერიამ "იტერას" შეუგროვა, მხოლოდ წინა თვის გადასახადი იყო. მიუხედავად ამისა, "იტერასადმი" დაგროვილი ვალების რესტრუქტურიზებაზე დაწყებული საუბარი თაროზე შემოდეს. რაც მეტია ვალი, მით მეტია აქტივი. ქართული ვალები "იტერას" არ გააკოტრებს. სამაგიეროდ, ამ ვალებით გაჯიუტებულ მთავრობას შეიძლება ყელში წაუჭირო.

შედეგმაც არ დააყოვნა: "იტერას" პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მისთვის სააქციო საზოგადოება "აზოტის" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემა მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც ის საქართველოს მთავრობას 20 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანებას გაუქვითავდა.

**"აზოტს" თავისი პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია. ის მომგებიანია და ჩვენ შეგვეძლო საკმაოდ ძვირად გაგვეყიდა,"** – აცხადებს ფრაქცია "დემოკრატის" წევრი მიხეილ მაჭავარიანი. თუმცა, დღეს ეს საუბარი ერთობ დაგვიანებულია.



სექტემბერში "აზოტიც" "იტერას" საკუთრება იქნება. ბესო გულაშვილის ფოტო

## მოიმატებს თუ არა ტარიფი?

**"იტერა ითხოვს არა ტარიფის გაზრდას, არამედ ისეთი პირობების შექმნას, როგორიცაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, შეღავათიან საბაჟო რეჟიმს"**, - განაცხადა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. აქ საინტერესო იქნებოდა გაგვეხსენებინა, თუ რატომ ვერ იპოვა საქართველოს ხელისუფლებამ ინვესტორი, რომელიც თუნდაც ინტერესების თანხვედრის გამო, "თბილგაზის" მეთვალყურეობას იკისრებდა? **"წლების მანძილზე დაბალი ტარიფით მუშაობამ, პერმანენტულმა უსახსრობამ და ქსელების შეუკეთებლობამ "თბილგაზი" ნგრევის პირას მიიყვანა,"** – აცხადებს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა.

დღეს "თბილგაზის" მდგომარეობა იგივეა, რაც "თელასში" იყო "ეი-ი-ესის" შესვლამდე. მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი ქალაქის გაზმომარაგების სისტემა, მაშინდელი "თელასის" მსგავსად, პერმანენტულად საჭიროებს დოტაციას, ფინანსური უკუგების მექანიზმის მოუწესრიგებლობა კი იმ უკონტროლო თანხების არსებობას განაპირობებს, რომლებიც იოლად ნაწილდება ჯიბიდან ჯიბეში. თბილისში შემოსვლისთანავე "ეი-ი-ესმა" ელექტრომომარაგების სისტემა, სწორი სატარიფო პოლიტიკისა და ქმედითი ფინანსური უკუგების მექანიზმის ამუშავების წყალობით აღადგინა. "თბილგაზის" პრობლემების მოსაწესრიგებლად ანალოგიურად უნდა იმოქმედოს მისმა მომავალმა მეპატრონემაც. აქედან გამომდინარე, ადრე თუ გვიან, გაზზე ტარიფის ზრდა გარდაუვალია.

"იტერა", რომელიც გაზის ტრანზიტს, ძირითადად, "გაზპრომის" კუთვნილი მილსადენებით აწარმოებს, დამოკიდებულია გაზის სატრანზიტო ღირებულებაზე. აშშ-ში რეგისტრირებული "იტერა" რუსული "გაზპრომის" არაოფიციალური შვილობილია. ამის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ გაზის ტარიფის გაზრდის საბაბი სწორედ სატრანზიტო ღირებულების მატება იქნება. ამის საპასუხოდ ხელისუფლება ხელებს გაასავსავებს და იტყვის - ყველაფერი ხელშეკრულების მიხედვით ხდება, ეს ნორმალურიაო.

პარალელისთვის: "ტაჰალმა" ქართულ მხარეს გაზის სამომხმარებლო ტარიფის თითქმის ორჯერ გაზრდა (ერთ კუბურ მეტრზე 27 თეთრიდან 50 თეთრამდე) მოსთხოვა, რითაც, პრინციპში, მოლაპარაკების პროცესი ჩაშალა. უალტერნატივო "იტერასთან" კი, უპირობო თანხმობის გარდა, ალტერნატივა არ იქნება.

## კი არ ვყიდით, ერთობლივი საწარმო იქმნება - განმარტავს სახელმწიფო მინისტრი

ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში "იტერამ", თავისი 51 პროცენტის საზღაურად "საქგაზი" და მისი ათი შვილობილი კომპანია უნდა ჩადოს. მათ შორისაა რუსთავის, გორისა და ქუთაისის გაზგამანაწილებელი ქსელებიც. საერთო ჯამში, "იტერას" ქონება 16 მილიონს მიაღწევს.

ერთობლივ საწარმოში ამდენივე უნდა ჩადოს 49 პროცენტის მფლობელმა ქართულმა მხარემაც. ოცდათოთხმეტმა საწარმომ, რომელთა შორისაა "თბილგაზი", "მარნეულიგაზი", "ყაზბეგიგაზი", "დუშეთგაზი" და სხვა მცირე საწარმოები, "იტერას" კაპიტალდაბანდება უნდა დააბალანსოს. ხუთი მილიონი ლარი მარტო "თბილგაზი" ღირს. ამასწინათ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა "თბილგაზის" ღირებულება ნულს გაუტოლა. როგორც ჩანს, "თბილგაზის" ქონება მისი კუთვნილი ნაგებობებისა და ლითონის ნედლეულის - მილების სახით აღწერეს. მიუხედავად გადათვლის ასეთი მკაცრი ხერხებისა, ქართული მხარე 16 მილიონის შევსებას მაინც მოახერხებს... თუმცა, საქართველოში "იტერას" წარმომადგენელი თამაზ პატარიძე აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, "იტერას" აქტივებში საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგროვილი ვალებიც ჩაიწეროს, რომელთა საქართველოს ხელისუფლებისგან მიღებასაც რუსული მხარე ჩვეული დაჟინებით აღარ ითხოვს, თუმცა, არც მათი რესტრუქტურიზაციის გეგმის შემუშავებას ჩქარობს.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "იტერას" ეს ვალები არ დავიწყებია და ის სტრატეგიული საწარმოების ხელში ჩაგდებას მომავალშიც შეეცდება. ასეა თუ ისე, პატარიძე მიიჩნევს, რომ **"ვინაიდან ვალების თაობაზე მოლაპარაკებები ჯერ არ გამართულა, ამ თემაზე საუბარი ნაადრევია."** იმას კი, თუ რა ხერხებით მიიღებს "იტერა" საკონტროლო პაკეტს ერთობლივ საწარმოში, როგორც ჩანს, მნიშვნელობა არა აქვს. როგორც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, ის "იტერასთვის" 51-პროცენტიანი პაკეტის გადაცემაში უარყოფითს მაინც ვერაფერს ხედავს. **"იტერა" უფრო მენეჯმენტზე ამახვილებს ყურადღებას, ერთობლივი საწარმოს მენეჯმენტს მთლიანად "იტერა" აიღებს თავის თავზე, თუმცა, სამეთვალყურეო საბჭო პარიტეტული იქნება,"** – მიიჩნევს იგი.

**"ისევ დაგროვდება ვალები და გარკვეული დროის შემდეგ სააქციო პაკეტის 100-პროცენტიანი მფლობელი "იტერა" გახდება. ეს იოლი გზაა იმისათვის, რომ ამ საწარმოს ერთპიროვნულ მფლობელად "იტერა" იქცეს,"** – შიშობს "დემოკრატი" დავით ხუციშვილი.

საქართველოს ხელისუფლების მიერ "იტერასთვის" "თბილგაზის" შესყიდვაზე ადრე ნათქვამი უარი ანტიმონოპოლიური სამსახურის იმ დასკვნას დაემყარა, რომლის თანახმადაც, ერთი და იგივე კომპანიის ხელში გაზის მიწოდებისა და განაწილების მოქცევა მას მონოპოლისტად აქცევდა. დღეს ხელისუფლება ამ საკითხზე აღარ საუბრობს, სამაგიეროდ, ხშირად ახსენებს ზამთრის გაზმომარაგების საკითხს.

**"ნურავის ექნება იმედი, რომ "იტერა-ჯორჯია" გაზს უფასოდ მიაწვდის მოსახლეობას. მაკვირვებს გამეფებული წარმოდგენა, რომ თითქოს, "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნით ყველა პრობლემა მოიხსნება. არა! გაზის საფასური ყველამ უნდა გადაიხადოს!** – აცხადებს ჯერჯერობით "საქგაზის", მალე კი (ალბათ) "იტერა-ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო, - **სამი დღის წინ მე უკვე მივმართე ცაავას და გავაფრთხილე, რომ ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, 20 აგვისტოს თბილისს გაზის მიწოდება შეუწყდება."**

სამაგიეროდ, როცა გაზის მიწოდება აღდგება, ჩვენთან სახლებში ინკასატორები აღარ ივლიან, გვექნება ცივილიზებული სააღრიცხვო სისტემა, და ორსაფეხურიანი: მაღალი და საშუალო წნევის გაზგამანაწილებელი ქსელი. **"იტერა" გაზგამანაწილებელი კომპანიების რეაბილიტაციას, გამრიცხველიანების სისტემის გაუმჯობესებასა და აბონენტთა რაოდენობის გაზრდას აპირებს. ის აუცილებლად მოსპობს ინკასატორების ინსტიტუტს და ანგარიშსწორებას ბანკების საშუალებით აწარმოებს,"** - ესეც დეიკალომ თქვა.

"იტერასთან" მოლაპარაკებების პარალელურად, ხელისუფლება "თბილგაზის" რეანიმაციის ალტერნატიულ ვარიანტებზე ალაპარაკდა, თუმცა, უხალისოდ. არავის გახსენებია, რომ სულ რაღაც 30-კილომეტრიანი გაზსადენის რეაბილიტაციით, საქართველომ შეიძლება ძველი ტრასა აღადგინოს, რომლის საშუალებითაც გაზი ადრე ირანიდან შემოდიოდა. რაც შეეხება დანარჩენ პროექტებს, ეს ის ვარიანტებია, რომელთა მთავარი მიზანი – ტარიფის შენარჩუნება იყო, და რომელთა არსებობის გახმაურებასაც მათი ავტორები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების საშუალებით ცდილობდნენ, ხელისუფლებას კი ამ თემაზე სიტყვაც არ დასცდენია.

## შაჰდენიზის პროექტის ხელმოწერა "ოდნავ დაგვიანდა"

შაჰდენიზის გაზსადენის სავარაუდო დატვირთვის მოცულობის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია და ეს მაშინ, როცა ტრანსპორტირებული გაზის მოცულობაზეა დამოკიდებული გაზის ის რაოდენობა, რაც საქართველომ ქვოტის სახით უნდა მიიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ "იტერასთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გაზის ალტერნატიული წყაროების საკითხის შეტანა ქართული მხარის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება, არსებობს ვარაუდი, რომ "იტერამ", შესაძლოა, საქართველოს გაზის სადისტრიბუციო ქსელის ხელში ჩაგდების შემდეგ, შაჰდენიზის პროექტისთვის ხელის შეშლა მოისურვოს, თუნდაც, არაპირდაპირი გზით. გასათვალისწინებელია, რომ ბაქო-თბილისი-ერზერუმისა და რუსეთ-თურქეთის გაზსადენების მშენებლობის დასრულებისთანავე, დასავლეთში გასატანი აზიური გაზის უმეტესი ნაწილი თურქეთში მოიყრის თავს. რუსული გაზი თურქეთისთვის შეიძლება შაჰდენიზის გაზზე მომგებიანი აღმოჩნდეს, რადგან "გაზპრომის" "ბლუსტრიმი" უფრო მაღალი ენერგოშემცველობის ციმბირის გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, შაჰდენიზის საბადო და იქ არსებული გაზის რაოდენობა ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის, "გაზპრომს" კი მსოფლიოში უდიდესი ქსელი და უშველებელი რეზერვები გააჩნია. თუკი ვალებში ნაფეშქაშები სამთავრობო წილების გამოისობით, "იტერა" საქართველოს ერთპიროვნული გაზმომმარაგებელი და დისტრიბუტორი იქნება, შაჰ-დენიზის თურქეთისკენ ტრანსპორტირება კი "იტერას" "მამობილი" "გაზპრომის" ინტერესებისთვის ერთობ არასახარბიელო პერსპექტივა აღმოჩნდება, შესაძლოა, შაჰდენიზს მართლაც სერიოზული პრობლემები შეექმნას, ვინაიდან მის დასაბლოკად "იტერას" ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტები მოიყრის თავს.

ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ველარ მალავენ, რომ "იტერას" "ვერ შემოსვლას" საქართველოში შეიძლება დესტაბილიზაცია მოჰყვეს... რომ აღარაფერი ვთქვათ ზამთარში გაზის გარეშე დარჩენის ერთობ არასახარბიელო ალბათობაზე. შედეგად, ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი ნაბიჯი - "იტერას" შემოყვანა საქართველოს გაზის სექტორში, "იტერას" ნაკარნახევი პირობებით განხორციელდება.

# სახელმწიფო ქონებით ნაყიდი სტაბილურობა

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, კანცელარია მოზეიმე სახით აღიზიანებს ოპოზიციას და ამტკიცებს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილმა პარტიებმა იმის გამო ატეხეს ერთი ამბავი, შემოდგომაზე და ზამთარში დესტაბილიზაციის მოწყობის შესაძლებლობა რომ წაერთვათ.

ორივე მხრიდან გაკეთებული კომენტარები ნიშნავს, რომ დესტაბილიზაცია რეალურად გახდა ის ფაქტორი, რომელმაც "თბილგაზის" "იტერასათვის" გადაცემაში დიდი როლი შეასრულა.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ის კომენტარი, რომელიც "იტერას" წარმომადგენელმა საქართველოში თამაზ პატარიძემ ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას გააკეთა: სამი ზამთრის განმავლობაში თბილისს გაზი გარანტირებული ექნებაო.

სამი ზამთარი შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დარჩენილ სამ წელიწადში ყველაზე კრიტიკული პერიოდია. იმ ფონზე კი, როცა ხელისუფლების მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება და ბიუჯეტიც ძველებურად კრიზისშია, ხოლო ოპოზიცია სულ უფრო რადიკალური და პოპულარული ხდება, ზამთრის პერიოდში მოსახლეობისთვის გაზის გამორთვა ქუჩის დემონსტრაციების მიზეზი, შესაძლოა, მართლაც გახდეს.

განსაზღვრავს თუ არა დესტაბილიზაციას მხოლოდ გაზის გამორთვა-არგამორთვა, ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული, დესტაბილიზაციის მიზეზი, ბუნებრივი აირის გარდა, სხვა ფაქტორებიც გახდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მოსახლეობისათვის გაზის მიწოდების უზრუნველყოფით, შევარდნაძე სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ წინაპირობას იქმნის.

თუმცა, რამდენად გახდება "იტერა" გაზის უწყვეტად მოწოდების გარანტი, ამის თქმა ახლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი არ არსებობს, ძნელი სათქმელია.

რამდენიმე დღის წინ მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა გვითხრა: **"ჩემთვის, როგორც ობივატელისთვის, მთავარია, გაზი მქონდეს, ხოლო ვინ იქნება მომწოდებელი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვსო,"** – ეს, ბუნებრივია, ასეა. მოსახლეობას ასეთ შემთხვევებში მხოლოდ კონკრეტული შედეგები აინტერესებს და არა პოლიტიკა.

თუმცა, "იტერას" შემთხვევაში სიტუაცია იმდენად პოლიტიზებულია, რომ ძნელია, ამ კომპანიისათვის "თბილგაზის" მიცემას პოლიტიკური სარჩული გამოეცალოს.

რუსეთს საქართველოში არსებული სტრატეგიული ობიექტების შესყიდვისას, მხოლოდ ბიზნესის განვითარების სურვილი რომ არ ამოძრავებს, ეს ცხადია. მას ენერგეტიკული ობიექტები, ისე როგორც სამხედრო ბაზები, საქართველოზე საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად სჭირდება. ამ ბერკეტებს კი მაშინ აამოქმედებს, როცა მისთვის საჭირო ყველაზე შესაფერისი მომენტი დადგება.

და კიდე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ნავთობსადენ და გაზსადენ პროექტებს შეეხება.

ბაქო-შაჰდენიზის გაზსადენი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი რუსეთს, როგორც სატრანზიტო მარშრუტებზე რეგიონის მონოპოლისტს, სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ბაქო-შაჰდენიზი, რუსეთიდან თურქეთში მიმავალ "ცისფერი ნაკადის" მარშრუტს რეალურ კონკურენციას უწევს. ზეინო ბარანის აზრით, **"მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის გაზის სამომხმარებლო ბაზარი იზრდება, ის მინც შეზღუდულია ორივე მარშრუტის - ცისფერი ნაკადისა და ბაქო-შაჰდენიზის მიერ მიწოდებული გაზი მოიხმაროს. ასე რომ, ამ ორ მარშრუტს შორის სერიოზული კონკურენციაა, საქართველო კი ამ კონკურენციის შუაშია მომწყვდეული."** .

ასე რომ, "იტერა", როგორც კრემლის პოლიტიკის გამტარებელი, შაჰდენიზის გაზსადენისთვის, შესაძლოა, პოტენციურ პრობლემას წარმოადგენდეს. თუ რუსეთს ამ გაზსადენის, ისევე როგორც ნავთობსადენის, დაბლოკვა ეროვნულ ინტერესებამდე აქვს აყვანილი, მაშინ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**P.S.** ამ დღეებში "ლენტა-რუმ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირის ქონებიდან უკრაინისათვის მისი კუთვნილი წილის გადაცემას იწყებს, ეს მას შემდეგ, რაც უკრაინის რადა "ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირებას არ დათანხმდა.

ერთი წლის წინ საქართველომ "ნულოვან ვარიანტს" მოაწერა ხელი. მთავრობის არგუმენტები მაშინაც იდენტური იყო. ვალების გადახდისუუნარო ხელისუფლებამ რუსეთს საქართველოს კუთვნილი ქონება "უფეშქაშა", თან ისე, როგორც ახლა ხდება. რუსეთის ქონების სანაცვლოდ, ვალების ჩამოწერის მაგივრად, მხოლოდ ვალების რესტრუქტურიზაციაზე მივიღეთ თანხობა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# პანკისი, კოდორი, გაზი - სამი ნაღმი საქართველოს ასაფეთქებლად

## "იტერას" გარდა, რუსეთს საქართველოზე ზეწოლის რეალური ბერკეტები აღარ დარჩა

პირველი გვერდიდან

*ეს საქართველოს დაჩოქების მორიგი რუსული სცენარია. ამდაგვარი გეგმები, ბოლო ერთი თვეა, გავლენიანი რუსული გაზეთების ფურცლებზე თითქმის ყოველ კვირას იბეჭდება. ყველა ასეთ სცენარში აშკარად იკვეთება ერთი ხელწერა - საქართველოში სიტუაციის აფეთქებას, რუს ექსპერტთა და პოლიტოლოგთა უმრავლესობა, აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ვარაუდობს, ყველა ეს ვარაუდი კი პანკისზე, კოდორზე ან უგაზოდ დარჩენილ თბილისზეა დაფუძნებული.*

"24 საათი," ექსპერტებთან ერთად, შეეცადა, გაერკვია, რომელი "ნაღმი" უფრო საშიშია საქართველოში სიტუაციის ისეთი დესტაბილიზაციისთვის, რომელსაც ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის ამდენად მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია; შესაძლებელია თუ არა, კოდორში (ან გალში), პანკისსა და თბილისში (უგაზოდ დარჩენის შემთხვევაში) სიტუაციის აფეთქება; აქვს თუ არა რუსეთს რეალურად ამის რესურსი; არის თუ არა დღეს რუსეთის ინტერესებში შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა; სინამდვილეში რა არის რუსეთის მიზანი და რა შეიძლება მოხდეს სექტემბერში.

### პანკისი

საქართველოს ხელისუფლება, ბოლო რამდენიმე დღეა, ამზადებს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს, პირველ რიგში კი, მეზობელი რუსეთისას, ხეობაში არა რუსეთის ან შეერთებული შტატების, არამედ საქართველოს შეიარაღებული ძალების შესასვლელად, რასაც ამ უკონტროლო ანკლავში წესრიგის საბოლოო დამყარება უნდა მოჰყვეს. ჯერჯერობით, შინაგანი ჯარის სპეციალური დანიშნულების ნაწილები პანკისისკენ არ გადაადგილებულან, ამიტომ წინასწარ საუბარი, თუ რა შეიცვლება პანკისში ჩვენი ჯარისკაცების შესვლის შემდეგ, ძნელია. თუმცა, აქედანვე ჩანს ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, პროპაგანდისტული თვალსაზრისით, რუსეთს წაერთმევა ინიციატივა პანკისის თემაზე. ანუ შეიცვლება ის სიტუაცია, როცა პანკისთან დაკავშირებით რუსეთი ბრალდებებს გვიყენებდა და ჩვენ იძულებულნი ვიყავით, პასუხი გაგვეცა.

**"პანკისი ერთადერთი თემაა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში, როცა რუსეთი მიიჩნევს, რომ მას ინიციატივა აქვს ხელში აღებული და შეუძლია, საქართველო გააკრიტიკოს. ყველა სხვა საკითხში - იქნება ეს აფხაზეთი, სამხედრო ბაზები, შეიარაღების გატანა და ა.შ. ჩვენ იქით ვაკრიტიკებთ რუსეთს. ანუ რუსეთი სულ თავს იცავს. პანკისი ერთადერთი კოზირია რუსეთის ხელში და ცდილობს, ეს კოზირი მაქსიმალურად გამოიყენოს,"** – ამბობს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წამყვანი ექსპერტი არჩილ გეგეშიძე.

აშკარაა, რომ პანკისის კოზირმა, ჯერჯერობით ისე ვერ იმუშავა, როგორც ეს თავად რუსებს სურდათ. საქართველო არ დათანხმდა პანკისში, რუსეთთან ერთად, ერთობლივი ოპერაციის ჩატარებას, რუსეთმა კი ვერ შეძლო საერთაშორისო თანამეგობრობის დარწმუნება საქართველოს ტერიტორიაზე "ანტიტერორისტული ოპერაციის" ჩატარების აუცილებლობაში.

**"პანკისიდან რუსეთი ვერ მიიღებს იმ შედეგს, რასაც ელოდება. ჩვენ გვაქვს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის აბსოლუტურად გასაგები არგუმენტები, რატომ შემოვუშვით ლტოლვილები. იმიტომ, რომ ისინი [illegible]. მათ, რა თქმა უნდა, შემოჰყვნენ ბოევიკებიც, მაგრამ მერე რა? საქართველოს არ შეეძლო ლტოლვილთა საზღვარზე გაფილტვრა, ეს შეუძლებელი იყო. [illegible]** [illegible]

[illegible]

**"მე ვიზიარებ შეხედულებას, რომ პანკისი ხელისუფლებას ნაკლებ პრობლემებს უქმნის. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ შევარდნაძე პანკისში რუსეთის ერთობლივ ოპერაციაზე დათანხმდეს. [illegible] ამის გამო მთელ კახეთში, ამბოხებულ საქართველოს აფეთქება მოჰყვება. [illegible],"** – ამბობს პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

### აფხაზეთი (კოდორი)


"იტერას" ოფისი მოსკოვში.

პანკისისგან განსხვავებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაციის გამწვავება უფრო მოსალოდნელია. თანაც, გააჩნია, რა მიმართულებით გამწვავდება სიტუაცია - იქნება ეს გალის რაიონი თუ საქართველოსთვის სტრატეგიული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი კოდორის ხეობა, სადაც ბოლო დროს ქართველებიც და აფხაზებიც სულ უფრო ხშირად ეთამაშებიან ცეცხლს.

**"სანამ საქართველოს არ ექნება ჩამოყალიბებული და თანამიმდევრული პოლიტიკა აფხაზეთთან დაკავშირებით, მანამდე სულ იარსებებს აფხაზეთში სიტუაციის პერმანენტული დაძაბვის შესაძლებლობა. ჩვენ დღეს თან მშვიდობიან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ აფხაზებთან, თან იარაღით ვემუქრებით, სწორედ ეს არის პოლიტიკის არათანამიმდევრობა. აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვა, თბილისში დესტაბილიზაციის მიზნით, ძირითადად, გათვლილია აფხაზეთიდან ლტოლვილებზე. ეს არის ქართული საზოგადოების ყველაზე აქტიური და ორგანიზებული ნაწილი, იმ თვალსაზრისით, რომ ადვილია მათი ქუჩაში გამოყვანა, მათი მეშვეობით კანცელარიასთან ან პარლამენტთან მრავალათასიანი და გრძელვადიანი მიტინგების მოწყობა, პრეზიდენტის ან მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. სხვა საკითხია, რა შემთხვევაში იქნება ასეთი სახის გამოსვლები ეფექტური, ხელისუფლების შეცვლის თვალსაზრისით. თუ გავიხსენებთ გალის 1998 წლის მოვლენებს, როცა აფხაზებმა 50 ათასი კაცი გამორეკეს, თბილისშიც დაიწყო მღელვარება, თუმცა, მთავრობა ან, მით უმეტეს, პრეზიდენტი არ შეცვლილა. დღესაც, თუ გალში კვლავ მოხდა სამხედრო მოქმედებების პროვოცირება და იქ შესული ქართველობა ისევ გამოყარეს, კვლავ დაიწყება მღელვარება თბილისში, შესაძლოა, ამას მოჰყვეს გარკვეული ცვლილებები მთავრობაში, მაგრამ გამორიცხულია, გადადგეს პრეზიდენტი ან თანამდებობა დატოვონ სხვა მაღალი რანგის პირებმა,"** – მიაჩნია არჩილ გეგეშიძეს.

ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ კარდინალურად განსხვავებული ვითარება შეიქმნება, თუ აფხაზეთში, რუსეთის მხარდაჭერით, კოდორის ხეობა აიღეს.

**"კოდორის ხეობის დაცემას ავტომატურად მოჰყვება შევარდნაძის შეცვლა. როგორც კი თბილისში ცნობილი გახდება, რომ კოდორი დაეცა, [illegible] სიტუაცია აფეთქდება. შევარდნაძე [illegible] ვერ შეინარჩუნებს,"** – ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

**"კოდორის დაცემა - ეს არ არის 50 ათასი კაცის გამორეკვა, ეს უკვე იმ ტერიტორიის დაკარგვაა, საიდანაც ყოველთვის შეიძლება სოხუმზე იერიშის მიტანა. ეს, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი რაიონია აფხაზეთში. [illegible]"** – ასე ფიქრობს არჩილ გეგეშიძე. თუმცა, ამავე დროს, ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ დღეს აფხაზების მიერ კოდორის აღება რუსეთის ინტერესებში არ შეიძლება შევიდეს.

**"რუსეთის სერიოზული მხარდაჭერის გარეშე, და ისიც, აფხაზები კოდორზე იერიშს ვერ გაბედავენ. [illegible]**

**"კოდორში ომის დაწყება გამორიცხული არ არის, [illegible] ამასთან, მიმაჩნია, რომ რუსეთს დღეს კოდორის აფხაზებისთვის [illegible] კოდორის კონტროლი ნიშნავს, რომ ყოველთვის [illegible] სანამ კოდორი ჩვენია, [illegible]** ბად თავისუფლდებიან რუსეთისგან, რაც მოსკოვს ხელს არ აძლევს. ამიტომ არა მგონია, რომ კოდორის დაკარგვის საფრთხე რეალურად არსებობდეს," – აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

### გაზი ("იტერა")

**"იტერა" სჭირდება "გაზპრომს". სწორედ მისი მეშვეობით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, შესაძლებელია, ენერგეტიკული ვალებით მოხდეს საბჭოთა პერიოდის სამეურნეო კავშირების აღდგენა. გაიხსენეთ, რა ამბავი ატყდა, როცა "გაზპრომმა" ინტერესი გამოიჩინა ოსკოლსკომის კომბინატისადმი. ზუსტად იმ პერიოდში კი "იტერამ" ყოველგვარი ხმაურის გარეშე იყიდა მეტალურგიული კომბინატი რიბნიცაში, რომელიც დნესტრისპირეთში, მოლდოვაში მდებარეობს. იგივე შეიძლება ითქვას ლიტვის მაჟეიკაის ქარხანაზეც. ეს არის სწორედ "იტერას" დანიშნულება. დაფიქრდით, "გაზპრომისთვის" ადვილი იქნებოდა, სააქციო კაპიტალით შესულიყო ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების გაზის მონოპოლიებში. "გაზპრომი" ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ლენინივით, რუსული იმპერიალიზის ატრიბუტად აღიქმება. "პატარა", ფლორიდის ოფშორში დარეგისტრირებული, "საერთაშორისო" და "არავისი" "იტერა" - მათთვის ასეთი საშიში ცხოველი არ არის. ახლა ეს ფოკუსი ამოხსნილია, "იტერა" ძალიან ცნობილი გახდა, მაგრამ მავრმა თავისი საქმე უკვე გააკეთა. "იტერა" რომ არ ყოფილიყო, "გაზპრომს" ის უნდა მოეგონებინა, ახლა კი, "იტერას" მეშვეობით, "გაზპრომისთვის" წრე შეიკრა და ყოფილ რესპუბლიკებში გაყიდული გაზის საფასური უკან, საქმეში ბრუნდება. "გაზპრომის" გარეშე "იტერა," რა თქმა უნდა, კაპიკიც არ ეღირებოდა და მომავალი არ ექნებოდა,"** – ეს ცნობილი რუსი ეკონომისტის - სერგეი ვაკულენკოს მოსაზრებაა.

ბოლო ერთი თვეა, კომპანია "იტერა," საქართველოს მთავრობასთან ერთად, ერთობლივი საწარმო "იტერა-საქართველოს" შექმნაზე მუშაობს, რომელსაც, პრაქტიკულად, მთლიანად გადაეცემა საქართველოს გაზის გამანაწილებელი სისტემა. პარალელურად კი, "იტერა" მოითხოვს იმ გაზის საფასურის დაფარვასაც (დაახლოებით, 100 მილიონი დოლარი), რომელიც საქართველომ უკვე მოიხმარა.

**"მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლა გაზისა და გაზსადენების საკითხი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პანკისი და კოდორი. ჩვენ თანხმობას ვაძლევთ "იტერას" გაზის იმპორტზე, ვაქცევთ მას მონოპოლისტად, მივდივართ ყველა დათმობაზე, მაგრამ "იტერა" არ აპირებს ვალის ჩამოწერას და თან გვეუბნება, რომ გაზი გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასურის გადახდას შევძლებთ. არავითარი შეღავათი. ასეთი სქემით, ჩვენ კიდევ უფრო დიდ ვალებს დავაგროვებთ. სანამ გაზის ალტერნატიული გზა გაჩნდება, მთელი ენერგოსისტემა გადავა რუსეთის ხელში. რუსეთს ვაძლევთ საქართველოში ქაოსისა და არეულობის შექმნის საუკეთესო ბერკეტს. იგი ეცდება, ეს ბერკეტი ისე გამოიყენოს, რომ საქართველოში იყოს მუდმივი არეულობა და არც ერთი სერიოზული პროექტი არ შედგეს. რამდენჯერაც წამოიწევა რუსეთის საწინააღმდეგო პროექტი, იმ წუთში იმდენჯერვე წამოიწევს ვალის საკითხი და გადაიკეტება გაზი. ზამთარში კი თბილისისთვის გაზის გადაკეტვა უმძიმეს შედეგებს მოგვიტანს,"** – მიაჩნია ზურაბ ჭიაბერაშვილს.

**"მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ იმავე "თბილგაზსა" და "აზოტში", რომელსაც "იტერას" გადასცემენ, მთავრობის წევრთა კერძო ინტერესი მეტი იყოს, ვიდრე სახელმწიფოებრივი,"** – ამბობს არჩილ გეგეშიძე.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მიგვანიშნა, რომ სულ ახლო მომავალში "იტერასადმი" საქართველოს ვალების თემის ოფიციალურად წამოწევას აპირებს, მთელი თავისი გაგრძელებებით. **"ჩვენ უკვე მოგვმართა "იტერამ", რომ მოვახდინოთ ზეწოლა საქართველოზე, იმ 100 მილიონი დოლარის დასაბრუნებლად, რომელიც საქართველოს "იტერასი" მართებს,"** – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა.

### რუსეთის მიზანი და სექტემბერი

რატომ აქტიურობს ახლა რუსეთი?

**"იმიტომ, რომ სწორედ ახლა კრიტიკული თვეებია, წლებია. შევარდნაძე უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან, წყდება ნავთობისა და გაზის უდიდესი პროექტების დაფინანსების საკითხები; ამერიკის შეერთებული შტატები, შუა აზიის შემდეგ, უკვე კავკასიაში იკიდებს მყარად ფეხს, ბალანსი სულ მერყეობს. რუსეთი ცდილობს, ეს ბალანსი ისე განისაზღვროს, რომ მომავალი 20-30 წლის მანძილზე რეგიონში მისი ინტერესიც შენარჩუნდეს,"** – ამბობს არჩილ გეგეშიძე.

**"რუსეთმა უკვე გაინაღდა დათმობა მოლდოვაში - იქ უკვე შედგა მოლდოვას ფედერაციის გეგმა. საინტერესოა, რომ მოლდოვა-დნესტრისპირეთის საკითხს გადაწყვეტენ საკუთრივ მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი და ეუთო. ეს სერიოზული დათმობაა ვაშინგტონის მხრიდან. დაახლოებით ამდაგვარი დათმობის მიღებას ცდილობს რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებითაც - მოსკოვს სურს, ან ამერიკის გარეშე, ანაც, უკიდურეს შემთხვევაში, მასთან ერთად, დაამყაროს ახალი წესრიგი კავკასიაში,"** – აღნიშნავს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

**"ბოლო სამი წლის მანძილზე, რაც არენაზე გამოვიდა პუტინი და მისი ხელისუფლება, რუსეთი მიზანმიმართულად მუშობს, რათა გადაკეტოს შუა აზიის რესურსებისა და ევროპის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც არ გადის რუსეთზე, ანუ გზა, რომელიც საქართველოზე გადის. მთელი ეს აგრესია ამით არის გამოწვეული,"** - მიაჩნია სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს შალვა ფიჩხაძეს.

ამავდროულად, ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დღეს შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა, რეალურად, არც დასავლეთის და არც რუსეთის ინტერესში არ შედის, თუმცა, შეერთებული შტატები და რუსეთი შევარდნაძისადმი "ლოიალურნი" სულ სხვადასხვა მიზეზით არიან.

**"რატომღაც რუსეთის მაღალ ეშელონებში მიაჩნიათ, რომ საქართველოს რუსეთში "დაბრუნების" ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი შევარდნაძის ხელისუფლებაა. საკმარისია, ეს ხელისუფლება ცოტა შეარყიო, ცოტა წაეხმარო მის დამხობას, რომ აქ პრორუსული ძალები გაიმარჯვებენ და საქართველო ისეთივე გახდება რუსეთისთვის, როგორც უკანასკნელი 200 წლის მანძილზე იყო. პუტინის ბოლო პასაჟი, რომ მწყემსს, ვინმე თელიძეს, უფრო ესმის საქართველოს ეროვნული ინტერესი, ვიდრე შევარდნაძის ხელისუფლებას, ამის ნათელი დადასტურებაა. ეს მცდარი ინფორმაცია, რომელიც რუსეთში აშკარად მუშაობს, აქედან დიპლომატიური და დაზვერვის არხებით გადის და აბსოლუტურად მოკლებულია რეალობას,"** – აცხადებს შალვა ფიჩხაძე.

**"დასავლეთი შეეცდება, ყოველნაირი კრიზისული ვითარებიდან გამოიყვანოს შევარდნაძის ხელისუფლება. მისი მთავარი მიზანია, აქ მშვიდობიანად შეიცვალოს ხელისუფლება, ანუ შევარდნაძემ 2005 წლამდე, ბოლომდე ჩაამთავროს საპრეზიდენტო ვადა, შემდეგ კი იგი შეცვალოს, როგორც მინიმუმ, იმავე მიმართულების, ან გაცილებით დემოკრატიულმა ხელისუფლებამ. ეს რომ მოხდეს, ამისთვის ამ მთავრობას დესტაბილიზაციის ფაქტორი უნდა მოუხსნა, რასაც აკეთებს კიდეც ამერიკა,"** – მიაჩნია არჩილ გეგეშიძეს.

**"მე მგონია, რომ დღეს რუსეთსაც არ სურს შევარდნაძის შეცვლა, იმიტომ, რომ ხელისუფლების ცვლილება ყოველთვის ახალ იმედებს უკავშირდება. გარკვეულ პაუზას აიღებს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ საქართველოც: ვინაიდან აქ, პრაქტიკულად, არ არსებობენ სერიოზული პრორუსული ძალები, რუსეთს თავიდან მოუწევს იმ შავი იმიჯის შექმნა ახალი ხელისუფლებისთვის, რაც შევარდნაძის ხელისუფლებას აქვს - ამას კი თვეები და წლები დასჭირდება. მეორეც, ჩვენი კონსტიტუციით, პრეზიდენტის ვადამდე ადრე გადადგომის შემთხვევაში, ძალაუფლება პარლამენტის თავმჯდომარეს - ნინო ბურჯანაძეს გადაეცემა, ეს კი რუსეთის ინტერესში ნამდვილად არ შედის. საერთოდ, მეჩვენება, რომ რუსეთს არა აქვს რაიმე კონკრეტული, მკაფიო და დალაგებული გეგმა, რა და როგორ განახორციელოს საქართველოში. მისთვის მთავარია, რომ აქ იყოს ქაოსი და არეულობა, ჩვენ ახალ ამბებში მუდმივად ვიყოთ წარმოდგენილი, როგორც ტერორისტული, სახიფათო და ჩამორჩენილი ქვეყანა. თუ რაღაც დაემთხვევა და მოხდება ამ არეულობების კოორდინირება, მით უკეთესი, თუ არადა, რაც არის, მათთვის ისიც მისაღებია. ამიტომ ვარაუდი რომ სექტემბერში, აგვისტოში ან ნოემბერში რამე მოხდება, თითიდანაა გამოწოვილი - რუსეთს რეალური ბერკეტები, თუ "თბილგაზს," "აზოტს" და მაგისტრალურ გაზსადენებს არ მივცემთ, აღარ აქვს,"** – ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

**"ჩვენ დავკარგეთ ყოფილ რესპუბლიკებზე გავლენის ის პოლიტიკური მექანიზმი, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ერქვა, სანაცვლოდ კი არაფერი შეგვიქმნია. ამიტომ არის, რომ ამ ათი წლის მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა სერიოზული პროამერიკული, პროთურქული ძალები და საერთოდ არ ჩამოყალიბებულა პრორუსული ძალა. ის თავისით ვერ ჩამოყალიბდებოდა, ამისათვის ჩვენი მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება იყო საჭირო. ჩვენ არ გვაქვს საქართველოზე გავლენის ისეთი მექანიზმები, როგორ აშშ-ს, იმავე ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ვგულისხმობ. ამიტომ არის, რომ ახლა ან იარაღის ჟღარუნი გვიხდება, ან მარჩიელობა, თუ ვინ მოვა შევარდნაძის შემდეგ და რას მოგვიტანს ეს ჩვენ. ამიტომაც არის, რომ ძალიან ძნელია, თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე განვსაზღვროთ, როგორ განვითარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ახლა ან შევარდნაძის შემდეგ,"** – რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების დახასიათებისას ასკვნის დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის თანადირექტორი ვლადიმირ ჟარიხინი.

# იგორ გიორგაძე: "სამშობლოში ჩემს დაბრუნებას წინ ვერაფერი დაუდგება!"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

ყველა, ვინც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ ბოლო დროს პოპულარულ რესპოდენტთან, საქართველოს უშიშროების ექს-შეფ იგორ გიორგაძესთან ინტერვიუებს ყურადღებით ეცნობა, ერთხმად აღნიშნავს, რომ გიორგაძე დაიღალა, ინტერვიუდან ინტერვიუში ერთსა და იმავეს იმეორებს, ამიტომ მის ნათქვამში ახალი არაფერიაო.

"საქართველოს პატრიოტული ალიანსის" ლიდერთან - იგორ გიორგაძესთან შეკითხვებზე პასუხი მოსკოვში მცხოვრები მისი სეხნია იგორ გიორგაძის დახმარებით მივიღეთ.

იგორ გიორგაძის დისშვილი ახალგაზრდა, სიმპათიური კაცია, ოჯახზე ზრუნვაში ჩაფლული, ამიტომ დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ. რა მისი ბრალია, თუ ჩვენის გაზეთის შეკითხვების ადრესატამდე გაგზავნასა და შემდეგ პასუხების მიღებას თითქმის თვე დასჭირდა.

არც იმის დამალვა ღირს, რომ საქართველოსგან შორს მყოფი და სამშობლოს მონატრებული იგორ გიორგაძისაგან ქართველი მკითხველისადმი ცოტა მეტ ყურადღებას ველოდით. ფაქტია, რომ რუსული მასმედიისათვის მიცემულ ინტერვიუებში გიორგაძე ზომაზე მეტად გულგახსნილია, უშუალოა და პირდაპირი. ალბათ, მეტად სერიოზულიც. თუმცა, მკითხველმა შეაფასოს და განსაჯოს, მართლა დაიღალა თუ არა იგორ გიორგაძე და რამდენად სერიოზულადაა იგი განწყობილი.

**- როგორ უყურებთ პანკისის პრობლემის გადაჭრაში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ოპერაციის პერსპექტივას?**

- პანკისის პრობლემა, როგორც სხვა ურთულესი პრობლემები (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, კორუფცია, ნარკობიზნესი, კრიმინალი და ა.შ.), რომელიც შევარდნაძის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ მოუტანა ჩვენს ხალხს, გადაიჭრება მხოლოდ შევარდნაძის რეჟიმის დაცემისა და ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ.

**- მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის "რუსული მოდელი" შეიძლება განვითარდეს: ძველ პრეზიდენტს ახალგაზრდა, სპეცსამსახურებიდან მოსული მემკვიდრე ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემს.**

- მოდელების მორგება მოდელიორების საქმეა, საქართველოს კი თავისი გზა აქვს გასავლელი.

**- როგორი იქნება თქვენი პირველი ბრძანება, თუ ხელისუფლებაში მოხვედით?**

- სამშობლოში ჩემს დაბრუნებას ვერაფერი დაუდგება წინ, მაგრამ ხელცარიელი არ მინდა, დავბრუნდე. ხალხმა შვება უნდა იგრძნოს, ამას კი სერიოზული მომზადება სჭირდება, ჰოდა, ვემზადები, ბატონო... პირველი ბრძანების შინაარსს კი ცხოვრება მოიტანს.

**- შევარდნაძემ შეიწყალა ყოფილი "მხედრიონელები" - ხაჩიშვილი, გელაშვილი და პაპუკაშვილი. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი პოლიტიკურ პარტიებთან ბრძოლას კრიმინალის ხელით აპირებს. რაში დასჭირდა დღეს შევარდნაძეს ამ ხალხის ციხიდან გამოშვება?**

- პაპუკაშვილი "მხედრიონელი" არასოდეს ყოფილა, იგი სახელმწიფო უშიშროების სპეცდანაყოფ "ალფას" ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი იყო (ეს ცნობისათვის). როგორც ვიცი, კაცური თვისებები მას არც დღეს დაუკარგავს. რაც შეეხება შევარდნაძის გეგმებს, მას ჰკითხეთ, გვერდში გიზით.

**- საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში რომელ პოლიტიკურ ძალებთან აპირებთ თანამშრომლობას?**


ძებნილის ფოტო "ინტერპოლის" ვებ-გვერდიდან

- უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვითანამშრომლებთ იმ ძალებთან, რომლებიც "სრულიად საქართველოს პატრიოტული ალიანსის" პროგრამასა და გეგმებს გაიზიარებენ, შემოგვიერთდებიან ჩვენ და შევარდნაძის რეჟიმთან უკომპრომისო და პოლიტიკურ ბრძოლაში გვერდში ამოგვიდგებიან.

**- დღეს ლეფორტოვოში ზის მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ეჭვმიტანილი გოჩიაევის თანამებრძოლი. მოსკოვი საქართველოს შეფარებული მისი მეგობრების გადაცემას ითხოვს. თქვენი კომენტარი.**

- ჩემთვის ეს თემა არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

**- რატომ არ გადასცემს რუსეთი იგორ გიორგაძეს საქართველოს?**

- შეურაცხმყოფელ და სულელურ შეკითხვებზე პასუხს არ ვიძლევი.

**- რუსეთის პარლამენტის რამდენიმე წარმომადგენელი ამბობს, რომ გაგიჭირდებათ ქართველ ხალხთან ლიდერის სახით მისვლა.**

- ამას, ალბათ, ის "რამდენიმე წარმომადგენელი" აცხადებს, ვინც პირადად არ მიცნობს. ყოველ შემთხვევაში, მათ, ვინც ფიქრობს, რომ "გამიჭირდება ლიდერის სახით ხალხთან მისვლა", მინდა, ვუპასუხო: საჭიროების შემთხვევაში, ადამიანმა ზოგჯერ უნდა გაიჭირვოს კიდეც...

**- რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების თქვენდამი ხაზგასმულ კეთილგანწყობას იმით ხომ არ ხსნით, რომ რუსეთს დღეს საქართველოში მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ლიდერი სჭირდება?**

- როგორც ჩემთვის ახლახან გახდა ცნობილი სანდო წყაროებიდან, რუსეთი, დღიდან თავისი დაარსებისა, ოცნებობდა, რომ საქართველოს სათავეში რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ლიდერი ჰყოლოდა. ამიტომაც 1992 წელს რუსეთის თქვენს მიერ ნახსენებმა წრეებმა საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს და შევარდნაძე თავზე დაგვასვეს.

**- რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების გასაღებს ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობაში ხომ არ ხედავთ, რადგანაც პოლიტიკურმა დიალოგმა საკუთარი თავი ამოწურა?**

- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღესვე დარეგულირდება.

# პანკისის ხეობა - სერიოზული გამოცდა საქართველოს ხელისუფლებისთვის

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*ჯერჯერობით, კვლავაც გასაიდუმლოებული რჩება თავდაცვის სამინისტროს იმ ქვედანაყოფების ზუსტი ადგილმდებარეობა, რომლებიც კვირის დასაწყისში ანტიტერორისტული სწავლებების ჩასატარებლად კახეთის რეგიონში გადაისროლეს. სამაგიეროდ ცნობილი ხდება თბილისის განზრახვა, პოლიციის დამატებითი ძალების პანკისის ხეობის სიღრმეში განთავსების შესახებ. ახმეტის ხელმძღვანელობასა და ხეობის უხუცესებთან ამ საკითხის შესათანხმებლად, პანკისის ხეობაში შაბათს პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ჩავიდა.*

2002 წლის 15 იანვარს, საქართველოს უშიშროების საბჭოს შემუშავებული პროფილაქტიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კომპლექსური გეგმის თანახმად, ახმეტის რაიონში დისლოცირებულმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარმა ილტოს ხიდის, ჩაჩხრიალასა და ბახტრიონის საკონტროლო-გამშვები პუნქტები გააუქმა და რამდენიმე საათში პანკისის ხეობის სოფელ დუისის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგდა.

ასე დაიწყო ოპერაციის პირველი ფაზა, რომელიც "ავღანეთის ვეტერანთა კავშირის" მიერ ხეობის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით წამოწყებულ ათდღიან სამშვიდობო აქციას მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კი, მძევლების გასათავისუფლებლად და ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკების ბრუნვის აღსაკვეთად, სტარტი მიეცა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ერთობლივ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, რომელიც დღემდე გრძელდება.

ოფიციოზის არაერთი განცხადების მიუხედავად, რომ ოპერაცია წარმატებულია და ხეობაში კრიმინალური ვითარება გაუმჯობესდა, ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, პოლიციის დამატებითი ძალები უშუალოდ პანკისის ხეობაში შეიყვანოს. და, როგორც რვა თვის წინ, ამ მიზნით ხეობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გამართვა შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს დაეკისრა. ეს ინფორმაცია ჩვენთან საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრის პრეს-მდივანმა პაატა გომელაურმა დაადასტურა. თუმცა, გომელაურის თქმით, საკითხი ჯერ მხოლოდ შესწავლის სტადიაშია და საბოლოო გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭო მიიღებს.

გარდა ამისა, თბილისი, ბოლო ხანს, კიდევ უფრო მეტად უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო, ფაქტობრივად, ფრონტის ხაზზე მდებარე პანკისის მოსახლეობის დეზორიენტირებას და მათთან უშუალო შეხებაში მყოფ შინაგანი ჯარების წარმომადგენლებთან დაპირისპირების პროვოცირებას არაერთი ძალა შეეცდება. ასეთი საშიშროების არსებობა, ჩვენთან სატელეფონო საუბარში, ახმეტაში მყოფმა პაატა გომელაურმაც დაადასტურა.

ხელისუფლების ეს სიფრთხილე სრულიად გასაგებია. დამოუკიდებელი ექსპერტების ვარაუდით, პანკისის ხეობაში სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული რაზმების განიარაღება და ნარკოტიკების ბრუნვის აღკვეთა, რისთვისაც აღნიშნული კომპლექსური გეგმა შემუშავდა, საქართველოს სახელმწიფოებრიობას კიდევ ერთ სერიოზულ გამოცდას უმზადებს. საქართველოს ხელისუფლება ან მოახერხებს ამ რთული პრობლემის ეფექტიანი ოპერატიული კონტრზომებით გადაჭრას, ანდა ერთი გაუფრთხილებელი მოქმედებაც საკმარისია იმისათვის, რომ პანკისის ხეობა კიდევ ერთი შეიარაღებული დაპირისპირების კერად გადაიქცეს.

# პაპი შინ დაბრუნდა

2,5 მილიონი ადამიანი დაესწრო მესას, რომელიც რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ მშობლიურ ქალაქ კრაკოვში აღავლინა. წირვის დროს პაპმა თანამედროვე მეცნიერების, განსაკუთრებით, გენეტიკის ზოგიერთი იმ მიღწევის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლითაც ადამიანი, მისი თქმით, ღმერთის ფუნქციებში ჩარევას ცდილობს. მისი აზრით, "თანამედროვე ადამიანი ხშირად ისე იქცევა, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს და საკუთარ თავს აყენებს მის ადგილას". იოანე-პავლე მეორის თქმით, არავის აქვს უფლება, ადამიანის სიცოცხლის საიდუმლოში ჩაერიოს, რადგან ეს მხოლოდ ღმერთის საქმეა. პაპის განსაკუთრებული კრიტიკა ეუთანზიამ და ადამიანის კლონირებამ გამოიწვია. მან "უპასუხისმგებლო და უღვთო" ლიბერალიზმის წინააღმდეგაც გაილაშქრა და განაცხადა, რომ რელიგია პოლიტიკისაგან გვერდზე ვერ დარჩება.

მესის შემდეგ პაპმა მშობლების საფლავი და ის ეკლესია მოინახულა, სადაც ახალგაზრდობაში ღვთისმსახურებას ეწეოდა.



*პაპი სამშობლოში* REUTERS

# ლათინური ამერიკა: მემარცხენეები ბრუნდებიან

სულ ახლახან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავის ისტორიაში ყველაზე დიდი კრედიტი გამოჰყო. ბრაზილიის ეკონომიკის გადასარჩენად, ფონდი ამ ქვეყანას 15 თვის მანძილზე 30 მილიარდ დოლარს ასესხებს. ექსპერტების აზრით, ეს კრედიტი ბრაზილიისათვის უკანასკნელი შანსი იყო, სხვა შემთხვევაში იგი არგენტინის ბედს გაიზიარებდა.

თუმცა, მიმომხილველთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ კრედიტი არა ეკონომიკის გადასარჩენად, არამედ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მემარცხენეების ხელისუფლებაში მოსვლის თავიდან ასაცილებლად იქნა გამოყოფილი. წინასწარი გამოკითხვების თანახმად, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი მუშათა პარტიისა და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს აქვთ.

ლათინურ ამერიკაში მემარცხენე იდეოლოგია მორიგ აღმავლობას განიცდის. თავიანთი პოზიციის გასამტკიცებლად მემარცხენეები მარტივ სტატისტიკას იშველიებენ. 1980 წლიდან, როდესაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნები საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადავიდნენ, ეკონომიკური ზრდა 10-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე წინა წლებში, როდესაც ამ ქვეყნების მთავრობები უფრო პროტექციონისტურ პოლიტიკას ატარებდნენ და ეკონომიკაშიც უფრო მეტად ერეოდნენ. ამასთან ერთად, კონტინენტის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც შედარებით თავისუფალია ახლანდელი ეკონომიკური პრობლემებისაგან არის ჩილე, რომელიც თავისუფალ ეკონომიკაზე ბოლომდე ჯერაც არ გადასულა.

საბაზრო ეკონომიკითა და გლობალიზაციით მოსახლეობის უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამძაფრებს სავალუტო ფონდის პოლიტიკა, რომელიც მთავრობებისაგან, კრედიტების გამოყოფის სანაცვლოდ, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას მოითხოვს. ხარჯების შემცირება კი მძიმე ტვირთად აწვება ღარიბებს, რადგან იგი უმუშევრობას ზრდის და სოციალურ შეღავათებს ამცირებს.

სამხრეთ ამერიკელები ჩივიან, რომ როდესაც აშშ თავად განიცდიდა ეკონომიკურ ვარდნას, მან სრულიად საპირისპირო ეკონომიკური პოლიტიკა აირჩია და სახელმწიფო ხარჯები გაზარდა. რეიგანისა და უფროსი ბუში დროს, აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტს აღწევდა. ორივე შემთხვევაში ამ პოლიტიკამ გაამართლა. მაშინ რატომღა მოითხოვს სავალუტო ფონდი ჩვენგან ხარჯების შემცირებას, რომელიც, როგორც წესი, არსად არ ამართლებს? - კითხულობენ არგენტინასა და ბრაზილიაში.

მათ პოზიციას იზიარებენ თანამედროვე მსოფლიოს, ალბათ, ყველაზე ცნობილი ეკონომისტები - ჯეფრი საქსი და ჯოზეფ სტიგლიცი. საქსის თქმით, ამ ქვეყნებისათვის ხარჯების შემცირების მოთხოვნა იგივეა, რაც ავადმყოფისათვის სისხლის გამოშვება. სტიგლიცი კი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ თავისი შრომებისათვის ნობელის პრემია მიიღო, ამტკიცებს, რომ საფინანსო და ეკონომიკური კრიზისებიდან გამოსავალი სწორედ ხარჯების გაზრდაში მდგომარეობს, მათი შემცირება კი უკუშედეგს იძლევა. სტიგლიცის აზრით, სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, რომელთაც თავიანთი მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური იდეოლოგია აქვთ, ამის აღიარება არ სურთ. თანაც, კრიზისის დროს ეს ორგანიზაციები, პირველ რიგში, ცდილობენ, დაიცვან კრედიტორებისა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

როდესაც ლათინურ ამერიკაში სტუმრად მყოფ აშშ-ს ფინანსთა მინისტრს, ო`ნილს ჰკითხეს, თუ რატომ აგრძელებს მისი მთავრობა ამ ქვეყნებში პრივატიზაციის პროგრამების, ტარიფების შემცირებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის მხარდაჭერას მაშინ, როდესაც მას შედეგი არ მოაქვს, ო`ნილმა განაცხადა, რომ სხვა რეცეპტი, უბრალოდ, არ არსებობს. მისი ეს არგუმენტი ნაკლებად დამაჯერებელია სამხრეთ ამერიკელი ღარიბებისათვის, რომლებსაც ამ საკითხებზე საკუთარი შეხედულებები გააჩნიათ.

და არა მხოლოდ ღარიბებს. ამას წინათ ჯორჯ სოროსმა განაცხადა, სავალუტო ფონდმა იმიტომ არ აღირსა კრედიტი არგენტინას, რომ ყველამ კარგად დაინახოს, როგორ ისჯებიან ის ქვეყნები, რომლებიც ვალების გადახდაზე უარს ამბობენ. ბრაზილიისათვის კრედიტის გამოყოფა სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ამ ქვეყანას დეფოლტი არ გამოეცხადებინა.

ბრაზილიელი პოლიტიკოსები ჩივიან, რომ თუ ისინი ფონდის რეკომენდაციებს შეასრულებენ და ხარჯებს შეამცირებენ, მაშინ ვერ შეძლებენ საკუთარი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას და ღარიბებისთვის თუნდაც მინიმალური დახმარების გაწევას. განსაკუთრებით ეს მემარცხენე პოლიტიკოსებზე ითქმის. ამგვარად, სავალუტო ფონდი თავისდაუნებურად ხდება ქვეყნების საშინაო პოლიტიკის ნაწილი და საყოველთაო კრიტიკის ობიექტიც.

თავის მხრივ, ფონდი ამტკიცებს, რომ პრობლემა მის არასწორ რეკომენდაციებში კი არა, მათ არასწორ შესრულებასა და კორუფციაშია. სავალუტო ფონდს მაგალითად მოჰყავს 1998 წლის აზიის საფინანსო კრიზისი, რომლის დასაძლევად მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, პრინციპში, სწორი აღმოჩნდა. 1995 წელს სავალუტო ფონდმა და აშშ-მა ერთობლივად წარმატებით გაართვეს თავი მექსიკის კრიზისიდან გამოყვანასაც.

თუმცა, როგორც ითქვა, ბრაზილიამ ახლახან ფონდის ისტორიაში ყველაზე დიდი კრედიტი მიიღო და, თუ იქ კრიზისი მაინც დაიწყო, სავალუტო ფონდის მოწინააღმდეგეებს კიდევ უფრო სერიოზული არგუმენტები გაუჩნდებათ და ანტიგლობალისტების დემონსტრაციებიც კიდევ უფრო ხმაურიანი გახდება.

# უფროსი ბუში, კოლინ პაუელი და კომპანია ერაყის მოკავშირეები იყვნენ

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა გუშინ გაზეთმა "ნიუ-იორკ ტაიმსმა". ამერიკული სამხედრო დაზვერვის ყოფილ თანამშრომლებზე დაყრდნობით, გაზეთი ამტკიცებს, რომ ამერიკელები ძალზე მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ სადამ ჰუსეინის ჯარებს ირან-ერაყის ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ აშშ-ს მთელი ხელისუფლება, პრეზიდენტ რეიგანისა და ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსის ხელმძღვანელობით, ერაყის მიერ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებას გმობდა, ვაშინგტონი განაგრძობდა მისთვის სერიოზული სამხედრო დახმარების აღმოჩენას.

ის, რომ ირან-ერაყის ომის დროს აშშ ბაღდადის მხარეს იყო, აქამდეც არ ყოფილა საიდუმლო. "ნიუ-იორკ ტაიმსის" ინფორმაციამ ნათელი მოჰფინა ამ დახმარების მასშტაბებსა და მნიშვნელობას.

ამერიკის სამხედრო დაზვერვის 60-ზე მეტი ოფიცერი ომის დროს იმყოფებოდა ერაყში და მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვასა და წარმართვაში. ამის გარდა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო სისტემატურად აწვდიდა ერაყს სატელიტური დაზვერვის მონაცემებს ირანის ჯარების განლაგებისა და გადაადგილების შესახებ. ყოფილი სამხედროების აზრით, მაშინ აშშ-ს მთელი ხელმძღვანელობა იზიარებდა მოსაზრებას, რომ, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ერაყს ომი არ უნდა წაეგო.

შეგახსენებთ, რომ მაშინ ირანში ისლამური რევოლუცია ახალი მომხდარი იყო, და ბევრს მისი გავრცელება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა კუვეიტი და საუდის არაბეთი, სავსებით რეალურად ეჩვენებოდა. ამ კუთხით ნიშანდობლივია ისიც, რომ შუამავლის როლს ამერიკასა და ერაყს შორის სწორედ ვაშინგტონში საუდის არაბეთის ელჩი ასრულებდა.

ინფორმაციის თანახმად, მართალია, ამერიკელებს უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ იმ ბრძოლების დაგეგმვაში, რომელშიც ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მასთან თანამშრომლობა მაინც გააგრძელეს.

ამერიკელი ოფიციალური პირები (მათ შორის, კოლინ პაუელი, რომელიც მაშინ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი იყო), ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა, ადასტურებენ იმას, რომ ირანის გამარჯვების აღსაკვეთად ჰუსეინთან გარკვეულ საკითხებში თანამშრომლობდნენ.

"ნიუ-იორკ ტაიმსს" ამ ფაქტების ფონზე მოყავს უმცროსი ბუშისა და კონდოლიზა რაისის ახლანდელი განცხადებები, რომლის თანახმადაც ჰუსეინის რეჟიმი თუნდაც იმიტომ იმსახურებს დამხობას, რომ მაშინ როგორც ირანის, ისე საკუთარი ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღს იყენებდა. აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ რამდენიმე კვირის წინ ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა ერაყზე თავდასხმის პენტაგონის მიერ შედგენილი საიდუმლო გეგმა.

# მშიერი, მაგრამ ამაყი ზამბიელი ხალხი დახმარებაზე უარს ამბობს

წელს აფრიკის 6 ქვეყანაში არნახულმა გვალვამ თითქმის მთელი მოსავალი გაანადგურა. გაერო-ს სასურსათო პროგრამა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციები წელებზე ფეხს იდგამენ, რათა 12 მილიონი ადამიანი, რომელთაც შიმშილით სიკვდილი ემუქრებათ, როგორმე გამოკვებონ მომავალ გაზაფხულამდე. ამ დროს, ზამბიის მთავრობა უარს ამბობს, მიიღოს აშშ-ს მიერ ნაჩუქარი 23 ათასი ტონა მარცვლეული იმ მოტივით, რომ იგი გენეტიკურად არის მოდიფიცირებული. როგორც ზამბიის ინფორმაციის მინისტრმა ნიუსტედ ზიმბამ განაცხადა, აღნიშნული მარცვლეული მომწამვლელია, ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, იგი არ მიიღოს.

აშშ-ს მთავრობა და სურსათის ექსპერტები ამაოდ არწმუნებენ ზამბიის ხელისუფლებას, რომ ნახევარი მსოფლიო, მათ შორის, თავად ამერიკა, ამგვარ მარცვლეულს ჭამს და ჯერ არაფერს უჩივის, მაგრამ მთავრობას, რომელზეც გავლენა იქონია ევროპიდან მიღებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ევროკავშირში გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების წინააღმდეგ აქტიური კამპანია მიმდინარეობს, არაფრის გაგონება არ სურს.

ამასობაში, გაერო-ს სასურსათო პროგრამის წარმომადგენელთა განცხადებით, ქვეყანას სურსათის მარაგი მხოლოდ სექტემბრამდე ეყოფა, შემდეგ კი მოსახლეობის უმეტესობას შიმშილი ელის.

## სამართალი

# ტრეფიკინგი-ნახევრად ლეგალური დანაშაული, რომელიც არ ისჯება

პირველი გვერდიდან

გამტარები ან მიმწოდებლები, როგორც წესი, საქართველოსავით კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია ან თავისი გამომუშავებით უჭირს ელემენტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საზღვარგარეთ მუშაობა ოცნების ტოლფასია და ამიტომაც ადვილად ხდებიან ტრაფიკერების მსხვერპლნი. ასეთსავე სახელმწიფოებში გაცილებით იაფია საზღვარგარეთის ვიზებისა თუ სხვა ყალბი დოკუმენტების დამზადება. შესაბამისად, ხდება სხვა ქვეყნების მოქალაქეების იქ ჩაყვანა და შემდეგ მათი გადანაწილება დანიშნულების ადგილებზე. აი, დანიშნულების ადგილები კი შედარებით განვითარებული, ყოველ შემთხვევაში, მდიდარი ქვეყნებია. ცხადია, საქართველო მათ რიცხვს არ მიეკუთვნება და, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე იძულებით მომუშავე, უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი, შეიძლება, ჩვენში კიდეც მოიძიებოდეს, მაგრამ საქართველო, ძირითადად, მაინც მიმწოდებელ და გამტარ ქვეყნას წარმოადგენს. თუმცა, პრობლემა ის გახლავთ, რომ მიუხედავად დანაშაულის საკმაოდ მძიმე შემადგენლობისა, მისი ამგვარი ხასიათი სისხლის სამართლის არც ერთ საქმეში არ ფიქსირდება.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას გიამბობთ, რომლებიც ტრეფიკინგზე წარმოდგენის შესაქმნელად მეტად ნიშანდობლივია და მათი განზოგადებაც შეიძლება.

26 წლის ქეთი ისრაელში წინასწარი შეთანხმებით ჩაიყვანეს - იქ მას გამყიდველად უნდა ემუშავა. თუმცა, სინამდვილეში, 4 წელი ბორდელში იმუშავა და იქაურობას თავი მხოლოდ მაშინ დააღწია, როცა ჰეპატიტის მძიმე ფორმა დაუდგინდა. ქეთის საზღვარგარეთული საქმიანობის შესახებ არაფერი იციან მისმა ახლობლებმა. კითხვაზე, რატომ არ მიმართა პოლიციას თაღლითი დამსაქმებლების გამოსააშკარავებლად, ქეთი პასუხობს, რომ პოლიცია თავად იყო ჩართული იმ ფირმის საქმიანობაში, რომელმაც ის საზღვარგარეთ სამუშაოდ წაიყვანა.

14 წლის თაკო მოტყუებით გადაიყვანეს თურქეთში, ვითომდა ოფიციანტად სამუშაოდ. იქ წელიწადნახევარი ბორდელში მუშაობდა და დიდი რისკის ფასად შეძლო გამოქცევა. თუმცა, საქართველოში დაბრუნებულ გოგონას ტრეფიკერები დღემდე არ ეშვებიან და აშინებენ.

როგორც საქართველოში ტრეფიკინგის პრობლემაზე მომუშავე იურისტმა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა, მარი მესხმა გვითხრა, ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგი რამდენიმე დანაშაულს აერთიანებს და, შესაბამისად, კანონით უფრო მძიმედ დასჯადი უნდა იყოს. თუმცა, საქართველოში ტრეფიკინგი, როგორც ასეთი, საერთოდაც არ ისჯება – ქართულ სინამდვილეში კარგა ხნის წინათ საკმაოდ მკვეთრად დაფიქსირებულ დანაშაულს ჯერ ასახვა არ უპოვია სისხლის სამართლის კოდექსში.

**"ტრეფიკერები მსხვერპლს, ძირითადად, სააგენტოებით პოულობენ: აცხადებენ, რომ რომელიღაც სააგენტო საზღვარგარეთ სამსახურით უზრუნველყოფს ქალებს. დანაპირებ ადგილზე ჩაყვანის შემდეგ კი ქალებს ართმევენ პასპორტებს და, უმეტეს შემთხვევებში, მეძავებად მუშაობას აიძულებენ, -** - განაცხადა ჩვენთან საუბარში მარი მესხმა, - **ჰელსინკის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშის თანახმად, რომელიც, ოფიციალური მონაცემების არარსებობის გამო, მედიით გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობა, ტრეფიკინგი, თავისი მასშტაბების მიხედვით, საქართველოში ნახევრად ლეგალიზებულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობა ამ დანაშაულს სერიოზულ პრობლემად არ აღიარებს. უფრო მეტიც, ტრეფიკინგი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საერთოდ არ არის დასჯად დანაშაულად გამოცხადებული. საკანონმდებლო მუხლის არარსებობის გამო, ტრეფიკინგის მიმართ პოლიციის გულგრილობა განაპირობებს ქალის უფლებების დამრღვევთა დაუსჯელობას.**

**ტრეფიკინგის შესახებ კი არა, საქართველოში პროსტიტუციის შესახებ კანონმდებლობაც არ არის სრულყოფილი. მართალია, პრეზიდენტის დავალებით იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ეს კანონპროექტი სრულყოფილი არ არის და დახვეწას საჭიროებს.**

**ჰელსინკის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, პოლიციისათვის ცნობილია მოზარდთა პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის შემთხვევები, მაგრამ არაფერი კეთდება ამის აღსაკვეთად. პირიქითაც ხდება - ხშირად პოლიციელები თავადვე არიან შეკრულნი სუტენიორებთან და ამ არალეგალური ბიზნესიდან სარგებელს იღებენ. სამართლებრივი ბაზა კი იმდენად დაუხვეწავია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები სამართალდამცავ ორგანოებს თითქმის არ მიმართავენ."**



REUTERS

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს მნიშვნელოვანწილად ეთანხმება შს საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი, რომელიც საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმდინარე საქმიანობაში სულ ახლახანს ჩაება და მონაწილეობაც მიიღო სპეციალურ სემინარში.

**"ტრეფიკინგის შესახებ ჩვენ ახლახან შევიტყვეთ,** - აღიარებს ასათიანი, - **უკვე არსებობს კიდეც პრეზიდენტის მიმართვა პარლამენტისადმი, სადაც ის კანონმდებლებს მოუწოდებს, რაც შეიძლება, სწრაფად მომზადდეს საკანონმდებლო ბაზა ტრეფიკინგთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად. ჩვენც ვაპირებთ, შს სამინისტროში შევქმნათ სპეციალური ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ამ საკითხის ირგვლივ იმუშავებს. პრობლემა ნამდვილად არსებობს, არის არაერთი მაგალითიც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი საკუთარ საქციელს ტრეფიკინგით ამართლებს. არის შემთხვევები, როცა ტრეფიკინგის მსხვერპლად საკუთარი თავის გამომცხადებელი ისევ იმ ადგილს უბრუნდება, საიდანაც, ვითომდა, გამოიქცა. კიდევ ერთი პრობლემაცაა: ტრეფიკინგის მსხვერპლთ, როგორც წესი, ერიდებათ ოფიციალური განცხადების გაკეთება იმის შესახებ, რაც გადახდათ. ეს ართულებს ამ დანაშაულთან ბრძოლას. იმედი მაქვს, ეს პრობლემა უახლოეს მომავალში კანონმდებლობაშიც აისახება. ცხადია, ამას უცხოელ ექსპერტებთან უშუალო და მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებთ. არის ქვეყნები, სადაც ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის გამოცდილება აქვთ და სწორედ მათ უნდა მივმართოთ დახმარებისთვის".**

# გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკი კოკოითის ახლობელია

პირველი გვერდიდან

ქარელის პროკურორმა დიმიტრი სამნიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ დღემდე შეცდომით ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ცხინვალის რეგიონში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის დამკვირვებელი სოფელ წუნარიდან გაიტაცეს. სინამდვილეში დურგლიშვილი ცხინვალიდან 3 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ხეთაგუროვიდან გაუტაციათ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ვიცე-პოლკოვნიკი ცხინვალიდან თბილისში ბრუნდებოდა, მან ავტომანქანაში ტრასაზე მდგარი ოსი ეროვნების ორი ქალი და ბავშვი ჩაისვა. ისინი გამტაცებლებმა თეთრი ფერის "ნივით" სწორედ სოფელ ხეთაგუროვთან გააჩერეს. როგორც ამბობენ, ორი თავდამსხმელი, რომლებიც "ნივიდან" გადმოვიდნენ, სუფთა ქართულით საუბრობდნენ. თუმცა, ავტომობილში კიდევ რამდენიმე პირი იჯდა. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ გამტაცებლები სხვადასხვა ეროვნების დამნაშავეებისგან შემდგარი დაჯგუფების წევრები არიან.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა ისიც, რომ გამტაცებელთა მანქანა რეგისტრირებულია რუსეთის 51-ე რეგიონში – ორჯონიკიძე, ინგუშეთი, ჩეჩნეთი. შესაძლებელია, გატაცების თვითმხილველმა მგზავრებმა იციან კიდეც ავტომობილის ნომერი, მაგრამ მათ დაკითხვას ქართველი კანონდამცველები ვერ ახერხებენ, რადგან მოწმეები სოფელ არგნეთის მკვიდრნი არიან, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

# ამერიკელი ინტერნეტით გაცნობილმა ქალმა გაქურდა

მოსკოვში მცხოვრები ამერიკელი ბრაიან უილიამსი რუსი ქალბატონის მსხვერპლი გახდა.

ბრაიან უილიამსმა ქალი ინტერნეტის საშუალებით გაიცნო. ამერიკელის მოსაწვევი ბარათის მიღების შემდეგ, ახალგაცნობილი ქალი უილიამსს დროებით საცხოვრებელ სახლში, მეგობრებთან ერთად, ესტუმრა და გაქურდა მას შემდეგ, რაც მან დაიძინა. ამერიკელის სახლიდან მძარცველებმა 70 ათასი რუბლის ღირებულების ტექნიკა გაიტაცეს.

უილიამსის განცხადებით, ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი მან მეგობრობის მიზნით გაიცნო.

მოტყუებული უილიამსი მოსკოვის პოლიციას ქალბატონის დაპატიმრებას სთხოვს. სხვა მოთხოვნა გაძარცულ ამერიკელს არ გააჩნია.

# ამერიკელ თინეიჯერს 50 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

16 წლის ჯონ კისინჯერს კალიფორნიის სასამართლომ 50 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს მიერ გამოტანილი მკაცრი განაჩენი კასაციას არ ექვემდებარება. კისინჯერი საპყრობილეს 66 წლის ასაკში დაემშვიდობება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ იგი საპატიმრო რეჟიმს არ დაარღვევს.

კისინჯერი 2001 წლის გაზაფხულზე ჩადენილი მკვლელობისთვის გაასამართლეს - მან თანაკლასელები მოკლა.

კალიფორნიელი მოსამართლის განცხადებით, დანაშაულის ჩადენისას კისინჯერი 16 წლის არ იყო, ამიტომაც იგი გადაურჩა სასიკვდილო განაჩენს და სასამართლომ თინეიჯერ მკვლელს ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი მიუსაჯა.

www.24hours.ge 24 B

# სტურუას მოლოდინში

რობერტ სტურუა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც სიცოცხლისადმი შეუნელებელი ინტერესი მთელი ცხოვრება მიჰყვებათ. ამ თვისებას ერთგვარი ინტელექტუალური ჰედონიზმიც შეიძლება ეწოდოს. ამიტომ ისინი ერთდროულად რაციონალისტებიც არიან, მისტიკოსებიც და მორალისტებიც. ყველა ეს თვისება, მათთვის ასევე დამახასიათებელი რეფლექსიის წყალობით, ირონიით რბილდება. შესაბამისად, სტურუას შემოქმედებაც ყველაფერს მოიცავს – შექსპირს, თანამედროვე ევროპულ ინტელექტუალურ დრამასა თუ კალდერონის რელიგიური მისტიციზმით განმსჭვალულ პიესებს, პოლიტიკურ თეატრსა და ფოლკლორულსა და მითოსურ არქეტიპებს, ნაციონალურსა და კოსმოპოლიტურს, პოეტურსა და პროზაულს. სიცოცხლის ესთეტიკური და ინტელექტუალური საცდურებით აღსავსე მრავალფეროვნება, სისავსე და წინააღმდეგობრიობა თეატრალური მოედნის სივრცეში ექცევა; სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ცნობიერისა და არაცნობიერის, წარსულისა და აწმყოს წიაღებიდან დაუსრულებელ ნაკადად მოედინება მხატვრულ სახეთა წყება. "მადიანი" მაყურებლისათვის სტურუას თეატრი ნამდვილი "ნადიმია", მსურველს აქ ადამიანურ გრძნობათა მთელი სპექტრი შეუძლია განიცადოს და რეჟისორისათვის დამახასიათებელი სიცოცხლის ტრფობით განიმსჭვალოს.

ამჯერად ბატონი რობერტი ირლანდიელი სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" დგამს, პიესას კლოშარ ფილოსოფოსებსა და მისტიკოსებზე.

**- ბატონო რობერტ, ინგლისური დრამის ლომის წილი ირლანდიურ დრამაზე მოდის...**

- მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ლამის ყველა სერიოზული ავტორი, შექსპირის გარდა... სწორედ ამაზე ვფიქრობდი გუშინ, როდესაც ბეკეტის "პირველ სიყვარულს" ვკითხულობდი. საკვირველია, რომ ამ ღარიბესმა ერმა ამდენი დიდი სახელი შესძინა მსოფლიო კულტურას, ლიტერატორ-რეფორმატორთა მთელი წყება. ალბათ ამაში ერთგვარი პარადოქსიც არის და კანონზომიერებაც. როდესაც "პირველ სიყვარულს" კითხულობ, თითქოს ხორციელი სიდუხჭირის უზომო მოძალებას გრძნობ. თხრობა ისეა აწყობილი, რომ დასაწყისში ვერც კი დაადგენ, ვისთან გაქვს საქმე, მაგრამ, თანდათან, ამ უფლებააყრილი, დაჩაგრული და თითქოს უმეცარი კაცის ცნობიერების ნაკადში ისეთი ასოციაციები ამოტივტივდება, რომ რადიკალურად იცვლება შენი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ... ხვდები, რომ ავტორი საგანგებოდ ქმნის პარადოქსულ ვითარებას და დახვეწილ ინტელქტს უმართავი და უმწიფარი ნების წიაღში ათავსებს.

**- თქვენ ამჯერად "გოდოზე" მუშაობთ, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიესაზე, პიესაგამოცანაზე. "გოდოს" პერსონაჟებიც ყოფიერებისა და ცნობიერების იმავე პარადოქსს იზიარებენ. როგორ ფიქრობთ, რითია განპირობებული ირლანდიელთა შემოქმედებითი გამორჩეულობა და შეიძლება თუ არა, სიღარიბე პროდუქტიულ ძალად იქცეს?**

- ირლანდიელებს თეატრიდან ვიცნობ. როდესაც ინგლისში ვდგამდი სპექტაკლებს, მსახიობთა ძირითადი ნაწილი ეროვნებით ირლანდიელები და შოტლანდიელები იყვნენ. ირლანდიელები ყველასაგან მკვეთრად გამოირჩევიან, თუნდაც იმით, რომ ძლიერი ირლანდიური აქცენტი აქვთ და ამიტომ, ინგლისელების თვალსაზრისით, საშინლად მეტყველებენ. ამას გარდა, ისეთი შეგრძნება გექმნება, რომ გიჟები არიან... კარგი გაგებით... ასეთი შეგრძნება პირველად ნიუ-იორკში ჩვენი თეატრის გასტროლებზე ყოფნისას დამებადა. შონ ო'კეისის ქალიშვილი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა სურდა, უნდოდა ჩემთვის მამამისის ერთი-ერთი პიესა გადმოეცა, რომელიც, მისი აზრით, სწორედ რუსთველის თეატრში უნდა დადგმულიყო. პაემანი ირლანდიურ რესტორანში დამინიშნა. რესტორანში ისეთ დროს მივედით, როდესაც მანჰეტენი ტურისტებისაგან იცლება – ისინი ამ საათებში სპექტაკლებს ესწრებიან. ამიტომ, რესტორნებში მხოლოდ "შინაურები" რჩებიან. პირველი, რაც შიგნით შესვლისას მომხვდა თვალში, მარცხენა კედელში მოთავსებული ორი ვეებერთელა მინის ვიტრინიანი მაცივარი იყო. ერთში დიდ ნაჭრებად დაჩეხილი ირემი მოეთავსებინათ, მეორედან კი ცოცხალივით იმზირებოდა ირმის ფიტული. მოპირდაპირე კედელზე, ასეთივე მაცივარი იყო, შიგ კი გაყინული მარწყვის სისხლისფერი გორა იდგა. უცნაური სანახაობა იყო, თან ძალიან ლამაზი... მით უფრო, რომ მარწყვიც ძალიან მიყვარს და ირმის ხორციც... რესტორანი ორსართულიანი იყო, ზედა სართულზე კედლები გამოჩენილ ირლანდიელთა პორტრეტებით დაეფარათ, კედლიდან უთვალავი ნაცნობი და უცნობი სახე გიყურებდა... დავსხედით; ო'კეისის შვილმა კატეგორიულად მითხრა, რომ პიესა აუცილებლად უნდა დადგათ და ო'კეისის ფესტივალზე ჩამოიტანოთო. დიდხანს ვსაუბრობდით, ჩვენს ირგვლივ კი არ წყდებოდა ხმაური. ეს საოცრად ღია, მხიარული, ყველასაგან განსხვავებული ხალხია. ასეთ ატმოსფეროს ვერ ნახავ ვერც საფრანგეთში, ვერც სადმე სხვაგან ევროპაში.

ინგლისელთა წყალობით საშინელი შიმშილი ირლანდიაში ორი საუკუნე გაგრძელდა, კაციჭამიობის შემთხვევებიც კი არის ცნობილი. შედეგად დაიწყო იძულებითი ემიგრაცია ამერიკაში, იმდენმა ირლანდიელმა დატოვა კუნძული, რომ როდესაც წმინდა პატრიკის დღესასწაული დგება, ნიუ-იორკის ქუჩები სულ გამწვანებულია. ერთი მეგობარი მყავდა, წარმოშობით შოტლანდიელი, რომელიც ჩერჩილის მთავრობის დროს, თავდაცვის მინისტრად მსახურობდა. ვკითხე, - თქვენ რატომ არ იბრძვით დამოუკიდებლობისათვის-მეთქი, - ჩვენ, ჯერ ერთი, არავინ არ მოგვცემს დამოუკიდებლობას და ტყუილად უნდა იყოს მსხვერპლი, მეორეც, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ, ჩუმად დავიპყროთ ინგლისი, აკი ყველა დიდ პოსტზე ჩვენა ვართო. რაც შეეხება ირლანდიელებს, ინგლისი იძულებული გახდება, ჩრდიელოეთ ირლანდია გაუშვას, რადგან ისინი არასოდეს არ დამშვიდდებიან, ასეთი ერიაო.

შიმშილმა, ეტყობა, ისეთი დაღი დაადო ერს, რომ მათი ნაციონალური ნიშანი გახდა. ბეკეტის ყველა გმირი, ფაქტობრივად კლოშარია, ლუმპენ-პროლეტარი, მათ არაფერი არ გააჩნიათ. "მოლოუში" არის ფანტასტიკური სცენა, რომელშიც გმირი კრეფს ზღვაზე მოქცევის შემდეგ გამორიყულ ქვებს, რომლებზედაც პლანქტონია მიკრული, კრეფს და ჯიბეში იწყობს, ჯერ მარცხენა ჯიბეში, შემდეგ ქვებს სათითაოდ იღებს და ლოკავს, უკვე გალოკილს მარჯვენა ჯიბეში იდებს. თუ ზღვაზე დროზე გასვლა ვერ მოახერხა, ერთხელ გალოკილ ქვებს ხელახლა ლოკავს და ახლა უკვე შარვლის ჯიბეში გადააქვს, ნაწარმოებში გმირი ამ პროცედურას ექვსჯერ იმეორებს. საკვირველია, როგორ "ეკონომიურად" ექცევა ამ ქვებს... ამ პასაჟს საკმაოდ დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ერთი სურათი მახსენდება, აღარ მახსოვს ვისი, რომელზეც ირლანდიიდან ამერიკაში მიმავალი გემია გამოსახული, გემბანზე ემიგრაციაში მიმავალი ირლანდიელები იმყოფებიან, შეყვარებულები ერთმანეთით არიან დაკავებულები, ვერაფერს ამჩნევენ ირგვლივ. მხატვრის ჩანაფიქრით, ისინი ალბათ ირლანდიის მომავალს განასახიერებენ, აქვე ზის, როგორც ხვდები, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლიც, რომელიც სევდიანი თვალებით გასცქერის მშობლიურ ნაპირს და ცრემლები ახრჩობს. ეს, რა თქმა უნდა, ირონიასაც იწვევს, მაგრამ ძალიან ემოციურია და კარგად არის დახატული, ალბათ მხატვარსაც ჰქონდა გამიზნული, რომ მნახველში ოდნავ ირონიული დამოკიდებულება გამოეწვია...

**- ბეკეტი, როგორც ცნობილია, ფრანგულად წერდა პიესებს, გოდოც ფრანგულადაა დაწერილი. ეს თითქოს ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის ნაციონალურობის განცდის ირლანდიურ სიმძფრესთან. ბეკეტი ამბობდა, ჩემი პიესები ფრანგულად უკეთ ჟღერსო...**

- მე მგონი, ცოტა ტყუის, ბეკეტი, იმიტომ რომ, ის სარწმუნოებით ჰუგენოტია, მისი წინაპრები კი წარმოშობით საფრანგეთიდან იყვნენ და ირლანდიაში ბართლომეს ღამეს გაექცნენ, ბეკეტმა ეს შეიტყო და ვფიქრობ, ამ გარემოებამ მასზე იმოქმედა. ასე რომ, ის ფაქტი, რომ მას ფრანგულად წერა მოსწონდა, ალბათ მისი ფრანგული ფესვებით აიხსნება.

**- მე კი ვიფიქრე, რომ ეს, ალბათ, მისი ესთეტიკური კონცეფციიდან მომდინარეობს-მეთქი...**

- ოსკარ უაილდმაც ხომ ფრანგულად დაწერა "სალომეა", ისიც ხომ ირლანდიელი იყო...პარადოქსია, მკვეთრად ნაციონალური ცნობიერება და, ამავე დროს, ტრადიციული კულტურული ზღუდეების სრული არცნობა...სამწუხაროდ, ფრანგული იმდენად კარგად არ ვიცი, რომ ლიტერატურული სტილის დეტალები ვიგრძნო, მაგრამ, ინგლისური თარგმანი, რომელიც თვითონ ბეკეტმა შეასრულა, ალბათ, თითქმის, სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა დედანზე. ტექსტი ძალიან პოეტურია და ლექსადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

**- პიესას "გოდოს მოლოდინში" ჰქვია. ცნობილი ინტერპრეტაციის თანახმად, ეს ღმერთის მოლოდინია. მაგრამ მოლოდინის სხვა კლასიკური ვერსიაც არსებობს. მართალია, აქ არ არის პერსონაჟი ქალი, მაგრამ თვითონ კონცეპტი მოლოდინისა, თითქოს, ქალურია. იგივე "ოდისეაში" მამაკაცურ, აქტიურ საწყისს ოდისევსი განასახიერებს, ხოლო "პასიურს" - მომლოდინეს – პენელოპე... და უცებ, იბადება მომლოდინე კაცების თემა...**



რობერტ სტურუა

- მე მგონია, ისეთი პერიოდი დადგა, რასაც ჩვენ ესოდენ მძაფრად ვგრძნობთ საქართველოშიც - მამაკაცი ხვდება, რომ არ შეუძლია რაიმეს შეცვლა. მისი უძლურება მით მეტია, რაც უფრო მაღალია მისი განათლება, კულტურა... ის განუდგება თუნდაც იმავე ძალადობას და პასიურ პოზიციას იკავებს. მამაკაცი დადის ჩანთით, ცელოფანის პარკებით, ცდილობს, რაღაც მიიტანოს სახლში. ეს ძალიან დამთრგუნველია, მით უფრო ისეთი ხალხისთვის, ალბათ, როგორებიც ქართველები ვართ. იმავე ირლანდიელებისთვისაც, რომლებიც კელტები არიან და იბერიული სისხლიც ურევიათ. მამაკაცი გრძნობს, რომ ის მოშორებულია საწყისს, ცხოვრებას ვერ ცვლის, და ვინც ცვლის, ის, უმეტესად, უბრალოდ არამზადაა; ამიტომ ის მესიას ელის.

**- თქვენს სპექტაკლშიც ასეთი მესიანისტური განწყობილება იქნება?**

- ჯერ კარგად არ ვიცი, ჯერ ვერ გეტყვი, ვინ არის გოდო, ჯერ ბოლომდე არ არის ნათელი... ბეკეტი პარიზში თავისი პიესის რეპეტიციებს ესწრებოდა. მსახიობს, რომელსაც პოცოს თამაში სურდა, ბეკეტმა ესტრაგონის თამაში ურჩია და ჩარლი ჩაპლინის კოსტიუმის მსგავსი კოსტიუმი ჩააცვა. დამდგმელები ძალიან სერიოზულად უდგებოდნენ პიესას, ისევე, როგორც მკითხველი და ვერ გრძნობდნენ იუმორს. რემარკებიდან კი, სხვათა შორის, პერსონაჟის გარეგნობის სწორედ ასეთი ხატი იბადება - წითელი ცხვირი, დიდ ფეხსაცმელები, მოკლე შარვალი, ცხადია, რომ პიესაში ფარსული მომენტი საკმაოდ ძლიერია...ფეხსაცმელის თემა, აქ, მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ესტრაგონი ამბობს ფეხსაცმელს დავტოვებ, იქნებ ვინმე სხვა მოვიდეს, ვისაც ის უკეთ მოერგებაო... სხვათა შორის, ლირში, ჟანრი ლოლაშვილის – მასხარას – სცენაში ქარიშხლის შემდეგ, ბეკეტის ფეხსაცმლის პასაჟი ციტატად ვიხმარეთ.

**- თქვენს სპექტაკლებში ფეხსაცმლის მოტივი საკმაოდ ხშირად თამაშდება - "სეჩუანელში" მონაწილეები ავანსცენაზე ჩამწკრივებულ ფეხსაცმელებს იცვამენ, ფეხსაცმელს იცვლის ლედი მაკბეტიც... ყველაფერი ინტერპრეტაციის საკითხია, მაგრამ ხომ ვერ ახსნით, თქვენ თვითონ რა შინაარსს დებთ ამ ატრიბუტის გათამაშებაში?**

- იცი, რას დავაკვირდი? როდესაც რაიმეზე ვმუშაობ, ბედი, თითქოს საგანგებოდ, საჭირო ნივთებს "მაწვდის", თანაც სრულიად მოულოდნელი ფორმებით. ლონდონში "სამ დას" ვდგამდი. თეატრი ცენტრალური ქუჩიდან პატარა ჩასახვევში იდგა, ჩვენი შენობის პირდაპირ ფეხსაცმლის მუზეუმი აღმოვაჩინე სრულიად არაჩვეულებრივი ექსპოზიციით, ფეხსაცმლის მთელი ისტორია იყო წარმოდგენილი - კულტურის ჩასახვიდან დღემდე. რომ დაუფიქრდე, ფეხსაცმელი ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. ეს არის გზა, ეს არის ყველაფერი ისიც, რაც ამ გზაზე გხვდება. გუშინ შევნიშნე, რომ როდესაც ესტრაგონი ფეხსაცმელს იხდის, ქრისტე და ორი ყაჩაღი ახსენდება, ეტყობა ის იარა, რომელიც ფეხსაცმელმა გაუჩინა, მაცხოვრის წყლულებს ახსენებს.

ცნობილი ფაქტია, რომ ზოგ მორწმუნე კათოლიკეს, ამ წყლულების ანალოგიური წყლულები ეხსნება. ეს დიდი მადლის ნიშნად ითვლება. თუმცა, სასწაულის ყოველ ცალკეულ შემთხვევას კათოლიკური ეკლესია ძალიან კრიტიკულად უდგება. ლურდის ღვთისმშობლის სასწაულებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. განკურნების ოცი ათასამდე შემთხვევაა აღრიცხული, თუმცა, რომის პაპის კომისიამ ამ ოცი ათასიდან მხოლოდ ორი ათასის უტყუარობა დაადასტურა. ისინი გაცილებით უფრო მკაცრად იკვლევენ სასწაულების ფაქტებს, ვიდრე მეცნიერები, რადგან სურთ, ეკლესიისადმი ნდობა შეინარჩუნონ და მისტიფიკაციის ბრალდებას აარიდონ თავი.

**- ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ბეკეტი პროტესტანტია, იგი თავისი კულტურის ყველა თვისებას იზიარებს... თქვენ თქვით, რომ ჯერ არ იცით, როგორ გაიჟღერებს თქვენს სპექტაკლში ღვთის მოლოდინის თემა...**

- მე ის ვიცი - არ მსურს, რომ ეს ძალიან სწორხაზოვნად ჟღერდეს...

რადგან ეს ლექსია, ლექსივით უნდა მოეკიდო, ლექსს კი ინტერპრეტაცია აფუჭებს... როგორც კი გალაკტიონის ახსნას იწყებ, ლექსი კარგავს თავის მომხიბვლელობას. აქ ყველაფერი გრძნობაზეა და არა ინტელექტუალურ კონსტრუქციებზე.

ჩვენც, ისევე, როგორც ირლანდიელები, ქრისტიანები ვართ. ქრისტიანობაში კი სიღარიბის თემას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ქრისტეს მოწაფე რომ გამხდარიყავი, ყველაფერი უნდა დაგეთმო. ამიტომ ეს ჯილდო იყო და არა სასჯელი. რასაკვირველია, მე არ მინდა ვთქვა, რომ კარგია, რომ ღარიბები ვართ; მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ ამ სიტუაციაში მოიძებნოს რაღაც პოზიტიური, გაჩნდება თუ არა სიღარიბის ესთეტიკა, მისი ღირებულების განცდა?

არა ვარ ამაში დარწმუნებული, რადგან საქართველო ორ ნაწილად დაიყო, - ერთნი იპარავენ, მეორენი ვერა და ოცნებობენ, რომ პარვის საშუალება მიეცეთ. ვიღაც, ალბათ, ფიქრობს ზნეობაზე, მაგრამ ეს ის ნაწილია, ვისთვისაც ეპოქას მნიშვნელობა არა აქვს, მისი სულიერი ცხოვრება ყველაფრისაგან დამოუკიდებლად მიდის. ქრისტე არ ამბობს, მათხოვარი გახდიო, ის გულისხმობს, რომ თუ მომხვეჭველობისგან განთავისუფლებას შეძლებ, მაშინ მართლაც სული გაღელვებს.

**- ესე იგი, აქ თავისუფლებაზეა ლაპარაკი...**

- თავისუფლებაზე და სინაღდეზე... გენიალური სცენაა სახარებაში კაცისა, რომელმაც ვერ დათმო ყველაფერი და ძალიან წუხს ამის გამო, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია.

**- და თქვენი პერსონაჟები არიან თავისუფლები?**

-ისინი წავიდნენ ამ სამყაროდან, შეიძლება ისინი ცხოვრებამაც გარიყა, მაგრამ ეს თვითონაც მოინდომეს, ამისკენ ილტვოდნენ. სიღარიბეში არის ამპარტავნება; ამპარტავნება სიდუხჭირით - მე ვარ ღარიბი, შენ მდიდარი და ამით გიგებ, ამით გჯობივარ. ეს უკვე დიდი ცოდვაა... მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ მოვძებნეთ მიზეზი, თუ რატომ უცდიან გოდოს.

**- პიესაში არის ბიჭი, რომელიც პერიოდულად მოდის და გოდოს დანაბარებს აცნობებს მათ ... ისინი ჩვეულებრივად ესაუბრებიან მაცნეს, მის ამბავს კითხულობენ, ბედნიერი თუ ხარო, ეკითხებიან... პიესა ბედნიერების რაობაზეც დაგაფიქრებს. თქვენს სპექტაკლებში, საერთოდ, ხშირად დგება ღირებულებათა საკითხი...**

- აქაც უნდა ავარიდოთ თავი კონკრეტიკას. პოცო თითქოს ბოროტია, ის მდიდარია, ეს მიწაც მას ეკუთვნის, მაგრამ თუ ამ ხაზს გავყვებით, შეიძლება სოციალისტურ რეალიზმში აღმოვჩნდეთ. პოცოც მაძიებელია, ამბობს, სულიერი ცხოვრება ლაქისგან ვისწავლეო, სილამაზის აღქმა მასწავლაო...

**- ლაქი იღბლიანს ნიშნავს, ეს პერსონაჟი კი თითქოს პოცოს ტირანიით იტანჯება...**

- შეიძლება ლაქი წარსულში ხელოვანი იყო. მისი მონოლოგი, თითქოს გაუგებარი და ბუნდოვანი, ძალიან განათლებული კაცის წარმოთქმულს გავს, თუ დააკვირდები, მიხვდები, რასაც გვეუბნება - სანამ ჩვენ სულ მცირეოდენით, სულ უმცირესი მარცვლით არ დავიწყებთ საქმის გამოსწორებას, არაფერი არ გამოგვივა, მაინც ბოროტების წრეში დავრჩებით. ბიჭს მაყურებელი გოდოს მაცნედ აღიქვამს, მაგრამ მსახიობს სიმბოლოს თამაშს ვერ დაავალებ, კონკრეტული ამოცანა უნდა მისცე... ზოგჯერ მეჩვენება, რომ ბიჭი ძალიან შეშინებულია... ამ ორი კაცის ძალიან ეშინია და ვფიქრობ, შეიძლება ატყუებს კიდეც, შეიძლება ეს ვიღაცის ავანტიურაა, თითქოს ვლადიმერი და ესტრაგონი ვიღაცამ გააბრიყვა ...

**- მათი მოლოდინი, მათივე ეგზისტენციის იმდენად ორგანული ნაწილია, რომ შეიძლება, არც უნდათ, რომ ვინმე მოვიდეს. არც უნდა მოვიდეს ვინმე, იმიტომ რომ, მაშინ მოლოდინი დასრულდება და ყველაფერი დამთავრდება...**

- კარგად არ ვიცი, საბოლოოდ რა დაიბადება, მინდა ისე დავდგა, როგორც ლექსებს წერენ, ეს პრინციპი არ დავარღვიო. იცი, პიესა როგორ დაიწერა? ბეკეტი და მისი ცოლი ომის დროს საფრანგეთში იყვნენ და წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდნენ. გერმანელებმა ვიღაც ორი პროვოკატორი შემოგზავნეს, რომლებმაც ორგანიზაცია გასცეს. ბეკეტი სამხედროთა გადაადგილებაზე აგროვებდა ინფორმაციას. ის და მისი მეგობარი რვა საათის განმავლობაში ხეზე ემალებოდნენ გერმანელთა მაძიებელ ჯგუფს, თავი დააღწიეს კიდეც, მაგრამ ამხანაგმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და ფანჯრიდან გადახტა. ბეკეტი და მისი ცოლი ჯერ მთელი თვე იმალებოდნენ, შემდეგ კი, ყალბი პასპორტებით სამშვიდობოს გაღწევა სცადეს. ორმოცდახუთი დღე მიდიოდნენ, დღისით ზვინებში იმალებოდნენ, აცივდა.. სწორედ ამ სახიფათო და მტანჯველი მოგზაურობისას შეთხზეს ეს დიალოგები. თავიდან პიესაში ქალი და კაცი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ძალიან გავდა სიყვარულის ისტორიას და ბეკეტმა ქალი კაცით შეცვალა. ასე დაიბადა ორი გაბედული ლტოლვილის საგზაო დიალოგებში "გოდოს მოლოდინში".



რეპეტიციის წინ

მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

ესაუბრა თამარ ბოკუჩავა

## მრავალმხრივი ტალანტი

“ჩემთვის სიბერე ბუნებრივი რამაა, პრობლემას არ წარმოადგენს,” განაცხადა რობერტ რედფორდმა. რა გასაკვირია – როცა ასე გამოიყურები, ასაკის, ცხადია, არ შეგეშინდება. მსახიობმა, რომლის ღიმილსაც მილიონობით ქალი მოუხიბლავს, კვირას 65-ე დაბადების დღე აღნიშნა.

ჰოლივუდის ეს ვარსკვლავი მხოლოდ გარეგნობის წყალობით როდი ბრწყინავს. ის რეჟისორია, პროდიუსერი და გარემოს დამცველი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, რედფორდი ყოველთვის პოულობს დროს იმისათვის, გერმანელ ხელოვან სიბილე სცაგარსთან ერთად მთაში, თავის სახლში განმარტოებისათვის. ბუნება არამარტო ფილმებში, არამედ მსახიობის ცხოვრებაშიც დიდ როლს თამაშობს. თხილამურით სრიალი, ჯირითი და მოგზაურობა მისი საყვარელი დროსტარებაა.

კალიფორნიელი მერძევის ვაჟმა ადრიანად აღმოაჩინა, რომ სპორტი ძალიან უყვარს. სწორედ სპორტული სტიპენდიით სწავლობდა კოლეჯში, თუმცა, შემდეგ სხვა გზას დაადგა – ევროპაში გაემგზავრა.

ის დიდხანს მოგზაურობდა ევროპაში: ფლორენციაში, პარიზსა და მიუნხენში მხატვრობით გაჰქონდა თავი. აშშ-ში დაბრუნებულმა რედფორდმა სამსახიობო სასწავლებელში დაიწყო სიარული, ბროდვეიზე გამოდიოდა და ტელესერიალებში თამაშობდა. ეკრანზე პირველად 1961 წელს გამოჩნდა, ხოლო პირველი გამარჯვება მოიპოვა ფილმით “ორი ბანდიტი”, სადაც პოლ ნიუმენთან ერთად თამაშობდა. მაყურებელმა რედფორდი უმალვე შეიყვარა. 1973 წელს მან პირველი ოსკარი მიიღო, ხოლო ფილმისთვის “სრულიად ჩვეულებრივი ოჯახი“ ოთხი ოსკარი მიანიჭეს.

თავისი სამსახიობო მოღვაწეობის განმავლობაში რედფორდმა 35 ფილმში მიიღო მონაწილეობა. “საერთოდ, გასართობი ფილმების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, - უთხრა მან Cinema-ს კორესპონდენტს, - მაგრამ თუ ამბავს არანაირი ემოციური სიღრმე არ გააჩნია, აღარ მაინტერესებს ხოლმე.”

წელს რობერტ რედფორდმა დიდი საჩუქარი მიიღო: მსახიობს, რეჟისორს, პროდიუსერს და დამოუკიდებელ ხელოვანთა კინოფესტივალის დამაარსებელს ამერიკის კინოაკადემიამ საპატიო ოსკარი გადასცა.

## დედამიწას ასტეროიდმა ჩაუქროლა

ამასწინათ ჩვენს პლანეტას გიგანტურმა ასტეროიდმა ჩაუქროლა, - გვაცნობებენ ასტრონომები. ასტეროიდი დედამიწასთან ისე ახლოს აღმოჩნდა, რომ მეცნიერებს ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ, გულდასმით დაკვირვებოდნენ კოსმიურ სხეულს.

ასტეროიდი არწივის თანავარსკვლავედს მიეკუთვნებოდა და სხვა ობიექტებს შორის დიდი სისწრაფით გამოირჩეოდა. იგი 500 ათას კილომეტრზე მიუახლოვდა დედამიწას, ეს კი, ასტრონომიული თვალსაზრისით, საკმაოდ მცირე მანძილია.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შემდეგი ასტეროიდი ჩვენი პლანეტის სიახლოვეს 20 წლის შემდეგ ჩაივლის. მანამდე კი სპეციალისტები შეგროვილ მასალას დაამუშავებენ და მომავალი ფრენის ტრაექტორიის განსაზღვრისათვის გამოიყენებენ.

დიდი ზომის, რამდენიმე ათეულმეტრიანი დიამეტრის მქონე ასტეროიდის ჩამოვარდნის შემთხვევა დაახლოებით საუკუნეში ერთხელ ხდება და ხშირ შემხვევაში კატასტროფულ შედეგებს იწვევს. მეცნიერებას ჯერ ვერ გაურკვევია, თუ რა არის ამის მიზეზი.

მოსალოდენილი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველაზე ეფექტური საშუალება ასტეროიდის ორბიტის შეცვლაა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ რთული ამოცანაა, რომლის გადაჭრის ორი შედარებით რეალური ვარიანტი არსებობს: კოსმოსური ხომალდის გამოყენება ასტეროიდის ასაფეთქებლად (რაც ციური სხეულის დამსხვრევას გამოიწვევს და საკმაოდ სახიფათოა), ან ასტეროიდის ტრაექტორიის შეცვლა. ეს უკანასკნელი ვარიანტი შედარებით უსაფრთხო და ეკოლოგიურადაც გამართლებულია, მაგრამ ერთი დიდი მინუსი აქვს: მთელი ასწლეულები დასჭირდება.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

გასულ კვირას კასპში იელოვას მოწმეების საკონგრესო სამზადისი დაარბიეს. ამ მოვლენამ მრავალი ტყუილ-მართალი დაატრიალა ჰაერში. ვფიქრობ, რომ, გარკვეული აზრით, ტყუილი იგივე მართალია, რადგან ცდილობს, თავი დაგაჯეროს, ამიტომ საგულდაგულოდ ემსგავსება სიმართლეს, ემსგავსება იმას, რასაც მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილას ელოდები. ხოლო, თუ ეს ტყუილი ჭორია, მაშინ იმას ემსგავსება, რასაც მოცემულ დროსა და ადგილას ათასები ელიან ქვეშეცნეულად. ამგვარი ჭორი შესანიშნავი საშუალებაა საზოგადოებრივი თვითშემეცნებისთვის.

ჰოდა, ერთ-ერთი ჭორი ეს იყო: თითქოსდა, კასპის მახლობლად გზატკეცილზე შეიარაღებული ვაჟკაცები მანქანებს აჩერებდნენ და შიგ მჯდომებს პირჯვრის გადაწერას აიძულებდნენ. ვინც უარს იტყოდა — სცემდნენ. მიმაჩნია, რომ ამგვარ ვითარებაში ყველაზე ქრისტიანული საქციელი სწორედ პირჯვრის გადაწერაზე უარის თქმა იქნებოდა. ნუ მაიძულებთ, განვმარტო, რატომ ვფიქრობ ასე...

დღეს სწორედ ამგვარი ქმედება უნდა ჩავიდინო. უნდა განვერიდო იმას, რაც მიყვარს, რათა მის ბრწყინვალებას ჩრდილი არ დაადგეს უვარგის დამცველთაგან.

დღეს ჩემს მიერ დაწერილს შეიძლება მონოგრაფია ეწოდოს, რადგან ერთადერთ სტატიას ეხება — 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ ნინო ჭანიშვილის ოპუსს, *ქართული ხელოვნების ახალ მატიანეს ქმნიან.*

პუბლიკაცია ერთობ ხმამაღალი წინადადებით იწყება, რომელიც ბეთჰოვენის ძალუმი ოთხტაქტივით ქუხს და ბევრს რასმე გვპირდება: "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ჩვენმა სახელმწიფომ ჯერ-ჯერობით ვერაფერში გამოიყენა". ანკი რაში უნდა გამოეყენებინა ის სახელმწიფოს? ნუთუ ავტორმა ჩვენს ობსკურანტულ ბედოვლათობას უნდა შეუტიოს, ნუთუ კვლავ დაიკარგა საზღვარგარეთ ჩვენი კულტურული სიმდიდრის გამოფენის საშუალება? სულაც არა: ავტორი, თურმე, იმას გულისხმობს, რომ საქართველოს ისტორიული ძეგლები, რომლებიც კულტურული ტურიზმის "არაჩვეულებრივი საშუალებაა", სინამდვილეში ოხრად გვრჩება.

ოხრად გვრჩებაო? — არა, არა, ამის თქმა არ უნდოდა ავტორს. მეორე აბზაცი ცხადად გვამცნობს მის გულისტკივილს: "ჩვენი პასიურობის ფონზე, ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სომხების (და არა მარტო მათი) ქართული ძეგლების მიმართ მიმტაცებლური დამოკიდებულება კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის". ო, რამდენ მარგალიტს ინახავს თავის წიაღში ეს მოკლე ფრაგმენტი! რამდენი რამის შენიშვნას შეძლებს აქ გამჭრიახი პატრიოტის მახვილი მზერა! უპირველეს ყოვლისა, რას ნიშნავს "სომხები"? სომხები ზოგადად? თუ სომხების რაღაც ერთი, რომელიმე ნიშნით გამორჩეული ნაწილი? ან ეს "არა მარტო მათი" რას ნიშნავს? ერთი სიტყვით, სომხებისა და არა მარტო სომხების მიმტაცებლური დამოკიდებულება კარგად ყოფილა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის. რომელი საზოგადოებისათვის? რაკი გვეუბნებიან, სომხებიო, და არ განმარტავენ, კერძოდ, რომელი სომხები, ალბათ ის საზოგადოება იგულისხმება, სომხის დანახვაზე ან გაგონებაზე კბილები რომ უკაწკაწებს რისხვით. რამდენია ასეთი საქართველოში? - არც ამაზე მსჯელობა მინდა გავმართო. ყოველ შემთხვევაში, ავტორს ჰგონია, რომ ყველა თუ არა, ქართველთა უმრავლესობა სწორედ ასეთია. შეიძლება, რაც შემდეგ წერია ამ სტატიაში, მართალიც იყოს, მაგრამ ამგვარი დასაწყისი თავიდანვე გამორიცხავს გონიერი ადამიანების კეთილგანწყობას.

სულ რაღაც ორ აბზაცში პუბლიკაცია ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული ჟანრის საზღვრებს გადასწვდა: მწვავე სოციალური სტატიისა და ვულგარულ-ნაციონალისტური სადღეგრძელოსი (თანაც, ლუდზე რომ სვამენ, აი, ისეთის). ჟანრული ეკლექტიზმი შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება და ჩვენ უკვე ხელოვნებათმცოდნეთა განათლებულ დისკუსიას ვადევნებთ თვალს.

თურმე 2002 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა "**Византийский временник**" გამოაქვეყნა ნატალია ბერუჩაშვილისა და იოსებ ბიჩიკაშვილის სტატია, რომელშიც ეგრეთ წოდებულ კვირიკეს ჯვრის დამკვეთად მოხსენიებულია XI საუკუნეში მცხოვრები სომეხი კიურიკე ბაგრატუნი. ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში ეს ძეგლი მიჩნეულია X საუკუნის ქართული ტიხრული მინანქრის ნიმუშად. ავტორი ამბობს, რომ ბერუჩაშვილი და ბიჩიკაშვილი თავიანთ თვალსაზრისს "ყოველგვარი დასაბუთების გარეშე" ამტკიცებენ. შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყოს; შესაძლოა, ბერუჩაშვილი და ბიჩიკაშვილი მართლაც ვიღაცის დაკვეთას ასრულებენ, მაგრამ პროფესიონალისათვის განა ძნელი უნდა იყოს რუსულ ენაზე მეცნიერულად მომზადებული საპასუხო სტატიის შედგენა და შესაბამის პერიოდულ გამოცემაში გაგზავნა? მით უმეტეს, ნინო ჭანიშვილს მიაჩნია, რომ საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა სრულიად აშკარაა.

ამის მაგიერ, საკითხი "24 საათში" გამოიტანეს განსახილველად. რისთვის? ნუთუ იმისთვის, რომ ჩვენს მიერ ჭანიშვილის სტატიის მეორე აბზაცში მიტოვებულმა ვიღაც-ვიღაცეებმა გულში მჯიღი ჩაიკრან და ვარსქენის კვალზე აგინონ გვარი და თესლ-ტომი *მათი*? ღირს კი?

როგორ არა! — ჭანიშვილი განაგრძობს: "ტიხრული მინანქარი ის ერთადერთი სფერო იყო, რომელში დახელოვნებასაც სომხები ვერანარიად იჩემებდნენ, იმ ელემენტრაული მიზეზის გამო, რომ შუა საუკუნეებში ტიხრული მინანქარი მხოლოდ ბიზანტიაში, კიევის რუსეთსა და საქართველოში არსებობდა. ალბათ, მსგავსი ფანტასმაგორიული სტატიების შემდეგ ჩვენს მეზობლებს აუცილებლად მინანქარზეც გაუჩნდებათ პრეტენზია და მათ ქართულობასაც ეჭვქვეშ დააყენებენ". ასე ფიქრობს ქ-ნი ჭანიშვილი. გავანებოთ თავი ფეხმოტეხილ ქართულს. ერთი მარტივი კითხვა დავსვათ: რომელი მეზობლები? აი, ავლაბარში თუ ვარკეთილში წყალი რომ ჩამოგვიშვეს? ბუნკერს რომ სულ მუდამ რაღაც უცნაური ნაგვით ხერგავენ? ყოველდღე მაინცადამაინც შუაღამის მერე რომ იწყებენ ავეჯის გადაადგილებას? აბა, სხვა რომელ ჭკუათმყოფელ მეზობელს უნდა გაუჩნდეს პრეტენზია ქართულ მინანქარზე ფანტასმაგორიული სტატიის წაკითხვის შემდეგ?

არ უარვყოფ, კამათი და ქიშპობა არსებობს. 60-იანი წლებიდან კი არა, არამედ დროიდან ქართველთა და სომეხთა განყოფისა. ქიშპობა არსებობს და იარსებებს, რადგან გვინდა თუ არა, ესაა ჩვენი სოციო-კულტურული კონტექსტი, რომელსაც თავს ვერ დავაღწევთ. ქიშპობა და კამათი სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს. მე არ შევუდგები მისი ავკარგიანობის განხილვას, მაგრამ ერთი რამის აღნიშვნა კი სრულიად აუცილებლად მიმაჩნია: მთავარია, არ ავურიოთ დონეები, არ დავუშვათ ამ რთული და სათუთი სიმსივნის სხვადასხვა სტრუქტურების ერთმანეთში აღრევა, რომ ჩირქი არ ამოილვაროს და ჩვენი სოციალური მექანიზმის სრული ინტოქსიკაცია არ მოხდეს. მაპატიეთ ეს რთული და მოუხეშავი მეტაფორა: მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გულში მჯიღის მკვრელებს არ უნდა შეექმნათ ილუზია, თითქოს მართლაც რაღაც ესმით, რომ მათ რაღაცას უზიარებენ და ამიტომ ჭკუაც მოეკითხებათ.

მაგრამ ისევ ჩვენს სტატიას დავუბრუნდეთ. განვაგრძობთ კითხვას და ვგებულობთ, რომ ნატალია ბერუჩაშვილის მეორე სტატიაში (იოსებ ბიჩიკაშვილი სადღაც გზაში დავკარგეთ), რომელიც უკვე განხილულ ნაშრომთან მიმართებით პირველია, რადგანაც უფრო ადრე, 2001 წელს გამოიცა სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის კრებულში - უკვე მოცემულია იმის დამტკიცების ცდა, რომ ქართველი ხელოვნებათმცოდნეების მიერ სავარაუდოდ XV საუკუნით დათარიღებული ორი მინანქრული ფირფიტა სინამდვილეში "XIX-XX საუკუნეებში მცხოვრები ცნობილი გამყალბებლის, სტეფანე საბინ-გუსისა და მისი დამხმარე ხელოსნების ნაყალბევია". ამის მერე ჭანიშვილის სტატიაში გვიხდება ძალიან გრძელი და გაუგებარი ვიწროსპეციალური პასაჟის გადაყლაპვა. აქ გამოკრთება რაღაც ლაბორატორიული ანალიზი, დიდი მოცულობის თეთრი მინანქრის მასა, ფირფიტის ზომები. მე ვერ დავიბრალებ, რომ ამ ტერმინებსა და სპეციალურ რეალიებში გარკვევა ძალიან გამიჭირდება, თუ ტექსტი ლოგიკურად და სინტაქსურად კარგად იქნება გამართული, მაგრამ ჭანიშვილის ნაწერიდან რაიმე აზრის გამოტანა ნამდვილად გამიჭირდა.

ვინ იცის, შესაძლოა, ბერუჩაშვილმა მართლაც არ იცის ტერმინოლოგია, მართლაც აბსურდულ დასკვნებს აკეთებს, მაგრამ არც მისი ოპონენტი ნინო ჭანიშვილია ნაკლები თავის უვიცობაში. აქ უნდა ვთქვა, რომ უვიცად მე ის ადამიანიც მიმაჩნია, ვინც საკუთარ ცოდნას ვერავის აგებინებს. როცა პროფესიონალი ლაპარაკობს ან წერს, მან კარგად იცის, ვისთვის ლაპარაკობს ან წერს, ამიტომაც მისი ნათქვამი და ნაწერი ყველას ესმის.

ბოლოსდაბოლოს, რა აწუხებს ნინო ჭანიშვილს? — "საქმე ის არის, რომ ეს სტატიები სამეცნიერო მიმოქცევაშია და თანაც მეტად სოლიდური გამოცემების საშუალებით, რითაც ნოყიერი ნიადაგი მომზადდა მომავალი საეჭვო გამოკვლევებისათვის". ერთი ამიხსნას ვინმემ, ვისაც ერთი სტატია მაინც გამოუქვეყნებია რომელიმე სამეცნიერო ჟურნალში, რას ნიშნავს ეს აბდაუბდა? ნუთუ ციტირებების კორიანტელის ეშინია ნინო ჭანიშვილს? ნუთუ მართლაც უნდა ეშინოდეს ამის ვინმეს? ნუთუ ნინო ჭანიშვილი ასე მცირედ ენდობა საკუთარ პროფესიას, როცა ფიქრობს, რომ მის ფარგლებში ასე ადვილია ჭეშმარიტების გაყალბება? ან ასეთი მეცნიერება რად ღირს, ან ასეთი ჭეშმარიტება! — წამოვიძახებთ ჩვენ და შეგვებრალება ქ-ნი ნინო ჭანიშვილი, რომელმაც ასეთი საოცარი არჩევანის წინაშე დააყენა საკუთარი თავი. იქნებ, ის მაინც გამოდგეს ნუგეშად, რომ ვუთხრათ: საგაზეთო სტატიები ასე არ იწერება.

ეჰ, ვერაფერი ნუგეშია!

მაგრამ ნუგეში არავისგან სჭირდება ჩვენს ავტორს. მის მახვილ თვალს არა მარტო წარსული, მომავალიც ვერ ემალება: "თავად ნატალია ბერუჩაშვილის მომავალი სტატია კი უკვე მზად არის. იგი ეხება ხელოვნების მუზეუმში დაცული XVIII საუკუნის კვერთხის ნაწილებს". რაღაც უცნაური თამაშია ორივე მხრიდან, არა? გაყალბება ერთი ცოდვაა, მაგრამ გამოუქვეყნებელ მასალებზე დაყრდნობა სადაური მეცნიერული ეთიკაა? მით უმეტეს ასეთ დონეზე.

ამის შემდეგ ჟანრი კიდევ ერთხელ იცვლება და სტატიის ტექსტი უახლოვდება იმას, რასაც მე "საგუშაგო კოშკის" სტილს ვუწოდებ. დიახ, იელოვას მოწმეების ცნობილ ჟურნალსა და სხვა ბეჭდვით გამოცემებს ვგულისხმობ. იქ წამდაუწუმ ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: "მეცნიერები ფიქრობენ", "ერთმა პროფესორმა თქვა", "ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს" და მისთანა. ამგვარადვე გვამცნობს ნინო ჭანიშვილი, რომ "სამეცნიერო წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ აღნიშნული სტატიები დაკვეთითაა შესრულებული". ვინ, საკუთრივ ვინ ამბობს ამას და ვის ესმის ეს ნათქვამი? მერე კიდევ მტკიცდება, რომ "ამგვარმა მონოგრაფიებმა მასობრივი ხასიათი მიიღო, რისი ნათელი მაგალითიცაა რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მრავალტომეულში გამიზნულად შეტანილი ყალბი ინფორმაცია საქართველოს ისტორიის და ე. წ. სომხური ისტორიული ძეგლების შესახებ". ნუთუ, ნინო ჭანიშვილმა არ იცის, რას ნიშნავს მასობრივი ტირაჟი? გარდა ამისა, ვთქვათ, ინფორმაცია ყალბია, მაგრამ გამიზნულობა სხვა დონის ბრალდებაა, რომელსაც არანაკლები დასაბუთება სჭირდება, ვიდრე კვირიკეს ჯვრის ატრიბუციას. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, თანაც, თუ სხვა წყაროდანაც იცი, რაზეა საუბარი, შეიძლება გასაგები გახდეს, რისი თქმა უნდოდა ავტორს, მაგრამ იმ ტემპში, როგორც საგაზეთო სტატიებს კითხულობს ხოლმე ნორმალური ადამიანი, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩეს, რომ ჩვენ ისტორია გვაქვს, სომხებს კი — "ე. წ. ისტორია".

ამის შემდეგ კვლავ "საგუშაგო კოშკის" ხმა ისმის: "სამწუხაროდ, ბევრ არამედროვე ქართველ მეცნიერს წლობით სახლში უდევს საკუთარი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები". რატომ? ნუთუ არავისთან არა აქვთ კონტაქტი მსოფლიოში? ნუთუ ვერავინ დააინტერესეს? ნუთუ არც ერთი უცხო ენა არ იციან? გაუგებარია! ნამდვილად გაუგებარია! "არამედროვე" ალბათ იმას ნიშნავს, დროის მოთხოვნებს რომ ვერ აკმაყოფილებს. სხვანაირად მე ამას ვერ გავიგებ.

სხვათა შორის, ის კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც ქ-ნი ჭანიშვილი უბრალოდ სომხებად მოიხსენიებს, უცხო ენებსაც სწავლობენ, მთელს მსოფლიოში სამეცნიერო კონტაქტებსაც ამყარებენ და შესანიშნავად უღებენ ალღოს არსებულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები ხშირად მართლაც აბსურდულია, მაგრამ, ჯერ ერთი, მათი აბსურდულობა იშვიათად რჩება შეუმჩნეველი, მეორეც, ვერავის აუკრძალავ აბსურდული იდეების გამოთქმას. რატომ ჩვენ ვერ ვახერხებთ იგივეს, თუ უკეთესები ვართ? იმ სომხებს ხომ არც უკრძალავენ, თუმცა კი, მერე ეღიმებათ მათ ნაწერზე. ცოდვა გამხელილი ჯობია, — ასევე ეღიმებათ ბევრ ჩვენს ნაწერზეც. მახსოვს, იტალიაში ნინო ყაუხჩიშვილმა დავით ალმაშენებლის "გალობანის" შესახებ დაწერილი ჩემი ერთი სტატიის თაობაზე თქვა, სულ არა ჰგავს ქართველის დაწერილსო. რატომ-მეთქი? ვკითხე. ობიექტური ტონი გაქვსო, — მომიგო.

ნინო ჭანიშვილი პასუხობს: "ქართველი მკვლევარები უსახსრობის გამო ვერც საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში იმკვიდრებენ ადგილს". აი, თუ გინდათ, აბსურდი! სინამდვილეში დასავლეთის სამეცნიერო წრეები ხელგაშლით ხვდებიან ყველა ღირსეულ სამეცნიერო პროდუქციას და არასოდეს ქმნიან უაზრო დაბრკოლებებს. გავიხსენოთ, რამდენჯერ გაგვიგონია: ესა თუ ის პროექტი მხოლოდ გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი თუ ჰოლანდიელი კოლეგების დახმარების შედეგად გახდაო შესაძლებელი. როგორ შევუთავსოთ ეს ორი დებულება ერთმანეთს?

ბოლოს კი ორი ციტატა მინდა მოვიყვანო. ერთი ნინო ჭანიშვილის სტატიიდან, მეორე კი ერთი ქართველი მეცნიერის, ამჟამად ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის კერძო საუბრიდან. ამ უკანასკნელის სახელსა და გვარს მხოლოდ იმიტომ ვერ ვასახელებ, რომ მასთან შეუთანხმებლად ვერ ვიზამ ამას.

ნინო ჭანიშვილი: "ნატალია ბერუჩაშვილის სტატიებს პასუხი ხელოვნების მუზეუმის "ნარკვევებში" გაეცემა, მაგრამ ეს უფრო ადგილობრივად გულის მოოხებას დაემსგავსება".

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორი: "გოიმი ხომ არა ვარ, "მაცნეში" ვბეჭდო სტატიები".

რომ დავუკვირდეთ, ორივე ციტატა ერთსა და იმავეს ამტკიცებს. მე მაინც მეორე მირჩევნია, გულწრფელობისა და სიმოკლის გამო. ბევრი რამისაგან ათავისუფლებს ადამიანს ჭიპის მოჭრა. ეს თავისუფლება კი ყოველთვის სასიკეთოა. ვინ "ადგილობრივად" იოხებს გულს, ვისი ხმა მსოფლიოს ესმის. დრო ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. მაგრამ როდის?

ნუ გეშინიათ, მეგობრებო, — სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს და არც ქვები მოჰყვებიან ვისმეს დაკვეთით ღაღადს.




სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასა, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ჩოგბურთი

# ჩრდილოამერიკულ კორტებზე



ამელი მორეზმო REUTERS

**მონრეალი.** კანადა. ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 1 224 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი (აშშ). ნახევარფინალი.

ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 2) – ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 3) 7:6 (7:5), 4:0 – დოკიჩმა თამაში შეწყვიტა.

ამელი მორეზმო (საფრანგეთი, 7) – დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 8) 6:2, 7:6 (7:3)

როგორც მოსალოდნელი იყო, მონრეალის ტურნირის ნახევარფინალები ძალიან დაიძაბა. მას შემდეგ, რაც ტურნირის შარშანდელმა ტრიუმფატორმა, მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგის პირველმა ჩოგანმა, სერენა უილიამსმა ტრავმის გამო უარი განაცხადა მონრეალში ასპარეზობაზე, ჯენიფერ კაპრიატის გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდა.

ამერიკელი ამართლებს კიდეც ფავორიტის სახელს, მაგრამ სპეციალისტთა თქმით, ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი კაპრიატისა და ელენა დოკიჩის შეხვედრა იყო. განსაკუთრებით დრამატული პირველი სეტი აღმოჩნდა, სადაც მეტოქეებმა თავიანთი მოწოდებები მოიგეს და ჯენიფერ კაპრიატის მხოლოდ ტაი-ბრეიკზე გაუმართლა, როცა 6:5-ზე იუგოსლაველმა უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც სეტისა და, როგორც შემდგომში გაირკვა, მთლიანად მატჩის ბედი გადაწყვიტა. დოკიჩმა ტრავმა მიიღო და მეორე სეტში თამაში შეწყდა.

ფინალში კაპრიატის მეტოქე იქნება ფრანგი ლესბოსელი ამელი მორესმო, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ ფინალში უილიამსების კლანის არც ერთი წარმომადგენელი არ გავიდა (მოგეხსენებათ, უიმბლდონის ტურნირზე მორეზმომ განაცხადა, რომ დები უილიამსების დომინირება ჩოგბურთის განვითარებას აფერხებს და სასწრაფო ზომებია მისაღები).

ფრანგი, აგრეთვე, კმაყოფილი იყო იმითაც, რომ მან შესანიშნავ სტილში დაამარცხა თავისი მშვენიერი მეტოქე – სექს-სიმბოლოდ აღიარებული სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა. "დანიელას, უბრალოდ, იმიტომ არ გაუმართლა, რომ მორესმოს შეხვდა", – თქვა ფრანგმა ტრიუმფატორმა.

***ინდიანაპოლისი.*** აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 800 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი პატრიკ რაფტერი (ავსტრალია). ნახევარფინალი.

გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი, 14) – ტომი ჰაასი (გერმანია, 3) 3:6, 6:3, 6:3

ფელიქს მანტილია (ესპანეთი) – რაინერ შუტლერი (გერმანია, 9) 6:4, 1:6, 6:4

ჩოგბურთის სპეციალისტები გერმანულ ფინალს წინასწარმეტყველებდნენ, ვინაიდან ჰაასიცა და შუტლერიც შთამბეჭდავად თამაშობდნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ინდიანაპოლისის ტურნირს ორივე გერმანელი ერთდროულად დაემშვიდობა. ბრიტანელმა გრეგ რუსედსკიმ დაამტკიცა, რომ ტომი ჰაასი, ფავორიტობის მიუხედავად, გზას მაინც ვერ გადაულობავს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სეტი ჰაასის გამარჯვებით დამთავრდა, მომდევნო ორში, ბრიტანელის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

იგივე შეიძლება ითქვას ფელიქს მანტილიასა და რაინერ შუტლერის შეხვედრაზე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ესპანელმა პირველი და მესამე სეტები მოიგო. ასეა თუ ისე, ინდიანაპოლისს ღირსეული ფინალისტები ჰყავს.

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## უმაღლესი განათლება
## დიდ ბრიტანეთში

**თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით**

შედარებით დაბალ ფასებში

**დაგვიკავშირდით:**

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში
29 აგვისტოს შემდეგ
+441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk

ფეხბურთი

# "ჟორდანია უკვე გამარჯვებულია"



ვაჟა ჟვანია მარიკა ამურველაშვილის ფოტო

პაატა თოთაძე

ბოლო წლებში განცდილი უამრავი მარცხის მიუხედავად, ფეხბურთი საქართველოში კვლავაც სპორტის ნომერ პირველ სახეობად რჩება. აქედან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია საზოგადოების დაინტერესება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნებით. ვინ გახდება ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელი შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში? ვინ იქნება ის, ვისაც პასუხი მოეთხოვება ქართული ფეხბურთის აღმასვლასა თუ დაღმასვლაზე? ეს ის კითხვებია, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს და რომელზეც პასუხს, ოფიციალურად, 24 აგვისტოს მიიღებს, მაგრამ...

ნუთუ, ყველაფერი დასრულდა? ნუთუ, უკვე გარკვეულია ფედერაციის მომავალი პრეზიდენტის ვინაობა და არჩევნები მხოლოდ ფორმალურად ტარდება? იმას, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, მარტო პროგნოზს ვერ ვუწოდებთ. ეს, გარკვეულწილად, წინასაარჩევნო კამპანიის განვლილი ნაწილის შეფასებაა ვაჟა ჟვანიას მხრიდან, რომელიც გუშინ "24 საათის" სტუმარი გახლდათ.

"ჟორდანია უკვე გამარჯვებულია და შემიძლია, წინასწარ მივულოცო ეს გამარჯვება. პროცენტულად ჟორდანია, დაახლოებით - 80-ს, ჩხაიძე კი 1-ს მიიღებს. დანარჩენი პეტრიაშვილს დარჩება", - ამბობს ჟვანია. შესაძლოა, ზოგმა ამ ფრაზაზე გაიკვირვოს, ან გაიცინოს, ზოგმა კი ჭეშმარიტ ნათქვამად მიიჩნიოს. ამ შემთხვევაში ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ჟვანია თავის სიტყვებში დარწმუნებულია და ამის დასამტკიცებლად არგუმენტებიც მოჰყავს: "რა თქმა უნდა, იმ ხნის განმავლობაში, რაც მერაბ ჟორდანია ფეხბურთის ფედერაციას თავკაცობს, მუშაობაში ხარვეზები ჰქონდა, მაგრამ საერთო ჯამში, მოვალეობას თავი კარგად გაართვა. სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, ამ ოთხი წლის განმავლობაში, კარგი ფორმა შეინარჩუნა. საჯაროდ მინდა განვაცხადო, რომ მერაბ ჟორდანიას მივცემ ხმას, ის ამას იმსახურებს. ფიფა-ს და უეფა-ს არ სჭირდება ისეთი პიროვნებები, როგორებიც პეტრიაშვილი და ჩხაიძეა. ისინი ამას საჯაროდაც აცხადებენ. უეფა-ს მაღალჩინოსნები ფედერაციის ახალი ოფისი გახსნას დაესწრებიან, ფიფა-ს ერთ-ერთ კომიტეტში პეტრიაშვილის ადგილას ჟორდანია დანიშნეს. პეტრიაშვილმა წინასაარჩევნო მარათონში ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა და იგი წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. საფეხბურთო სამყაროში ყველას და ყველაფერს ფიფა განაგებს. ჟორდანიას მოწინააღმდეგეები უნდა შეეგუონ, რომ ფიფა მხოლოდ ჟორდანიას უჭერს მხარს. რაც შეეხება ჩხაიძეს, მან ყველა საჯაროდ გაკიცხა. ასეთ კაცს ფიფა საფეხბურთო ოჯახში არ მიიღებს." შესაძლოა, ზოგი ამ არგუმენტებით დაკმაყოფილდეს, ზოგი – არა. მისივე თქმით, პეტრიაშვილის ან ჩხაიძის მხარდამჭერებმა შეიძლება ყრილობა ჩაშალონ, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ ამას ფიფა-ს მხრიდან ქართული ფეხბურთისთვის საჯარიმო სანქციები მოყვება.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას... "არც გამომძიებელი ვარ და არც ადვოკატი, მაგრამ რაღაცეებში ვერკვევი. ჩემი შეხედულებით, სისხლის სამართლის საქმე ვერ აღიძვრება. სასამართლოს გადაწყვეტილებას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს არაფერი ესაქმებოდა. ეს არ ყოფილა სამოქალაქო დავა, ეს იყო საფეხბურთო დავა. საფეხბურთო საკითხების გარკვევაში კი სამოქალაქო სასამართლოს არაფერი ესაქმება. ფიფა-ში და, უეფაში იურიდიული კომიტეტია და თუ რაიმე გასარკვევი იყო, იქ უნდა გარკვეულიყო. სუბორდინაცია არ უნდა დარღვეულიყო. ჟორდანიას ოპონენტები კი სხვანაირად მოიქცნენ და ფიფა გაალიზიანეს", - განაცხადა ჟვანიამ.

# ჩივაძის რჩეულნი

*გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა გააცხადა, რომლებიც 21 სექტემბერს საქართველოს ღირსებას დაიცავენ თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში:*

გვარამაძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული (ყველა "დინამო"), დიდავა ("ტორპედო"), ლომაია ("ლოკომოტივი"), კობიაშვილი, ცქიტიშვილი, იაშვილი (ყველა "ფრაიბურგი"), ნემსაძე ("დანდი"), ჯამარაული (დონეცკის "მეტალურგი"), ქინქლაძე ("დერბი"), შეყილაძე ("ლიერსი"), ჯიქია ("რუხი"), საჯაია (მოსკოვის "ტორპედო"), გახოკიძე ("ეინდჰოვენი"), შ. არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი"), დემეტრაძე ("ალანია").

## საქართველო

**უმაღლესი ლიგა. მესამე ტური**

| | |
|---|---|
| მილანი – დინამო | 0:1 |
| ბათუმი – ტორპედო | 0:0 |

## ინგლისი

**პრემიერლიგა. პირველი ტური**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა – ლივერპული | 0:1 |
| არსენალი – ბირმინგემი | 2:0 |

## გერმანია

**ბუნდესლიგა. მეორე ტური**

| | |
|---|---|
| ვერდერი – ჰამბურგი | 2:1 |
| ვოლფსბურგი – გლადბახი | 1:0 |

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი. მესამე ტური**

| | |
|---|---|
| მარსელი – ლიონი | 1:1 |
| მონპელიე – ბორდო | 0:1 |
| ბასტია – მონაკო | 1:0 |
| გინგამი – რენი | 3:0 |
| ლილი – ნიცა | 0:3 |
| პსჟ – აიაჩო | 2:2 |
| სედანი – ლანსი | 0:1 |
| სოშო – ნანტი | 3:2 |
| სტრასბური – ლე ავრი | 1:1 |
| ტრუა – ოსერი | 1:2 |

## დანია

**მეოთხე ტური**

| | |
|---|---|
| ფარუმი – ესბიერგი | 3:4 |
| ოლბორგი – აკადემისკი | 1:0 |
| ბრონდბიუ – ვიბორგი | 4:0 |
| კიოგე – სილკებორგი | 0:4 |
| ორჰუსი – ოდენსე | 3:2 |
| მიდტიულანდი – კოპენჰაგენი | 2:2 |

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი. პირველი ტური**

| | |
|---|---|
| როზენდალი – ზვოლე | 1:1 |
| ბრედა – როდა | 2:2 |
| ექსელსიორი – პსვ | 0:2 |
| ტვენტე – ტილბურგი | 0:2 |
| ალკმაარი – ჰეერენვეენი | 3:3 |
| გრონინგენი – ვიტესი | 1:2 |
| აიაქსი – უტრეხტი | 3:1 |
| ფეიენოორდი – ნაიმეგენი | 2:0 |
| ვაალვიკი – გრააფსხაპი | 4:2 |

## ბელგია

**პირველი დივიზიონი. მეორე ტური**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი – გენკი | 2:4 |
| ლოკერენი – ბეერსხოტი | 3:1 |
| ანდერლეხტი – მეხელენი | 4:1 |
| ბრიუგე – ბევერენი | 3:0 |
| ლიერსი – ლუვიე | 1:1 |
| სტ. ტრუიდენი – ლომელი | 0:0 |
| მონსი – ვესტერლო | 2:1 |
| მუსკრონი – გენტი | 2:1 |

## ავსტრია

**მეექვსე ტური**

| | |
|---|---|
| რიდი – პაშინგი | 0:1 |
| ბრეგენცი – ადმირა | 2:2 |
| რაპიდი – გრაცერი | 1:1 |
| შტურმი – აუსტრია | 0:2 |
| ზალცბურგი – კარნტენი | 0:0 |

## შვეიცარია

**"ა" ჯგუფი. მერვე ტური**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერი – თუნი | 4:1 |
| იანგ ბოიზი – დელემონი | 2:0 |
| ბაზელი – ლუცერნი | 2:3 |
| ქსამაქსი – სტ. გალენი | 1:0 |
| არაუ – ციურიხი | 2:1 |
| ვილი – სერვეტი | 1:2 |

## რუსეთი

**პრემიერლიგა. მეოცე ტური**

| | |
|---|---|
| ტორპედო-ზილი – სოკოლი | 2:0 |
| შინიკი – ლოკომოტივი | 0:0 |

# TV პროგრამა 19 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 ველური ბუნება
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 "ლუისი და კლარკი"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენე და ბიჭები"
19.15 სასამართლო დარბაზი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "მეწამული მდინარეები" მთ.როლებში ჟან რენო, ვინსენტ კასელი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 მხ. ფილმი "რომ იცოდეთ"
14.00 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთი - კორეა (განმეორებითი ჩვენება) 15715 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთი - კორეა (განმეორებითი ჩვენება)
17.00 საკვირაო გამოფენა
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.00 ვიდეოაპტრული
19.10 ენერგია
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ტელე-სინე-ვიდეო"
22.20 მხ. ფილმი "შეხვედრა მთაში"
23.35 სერიალი "ძილის წინ"
00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "დედა"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "მისტერ ჰოლანდის ოპუსი"

### ევრიკა

08 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15, 18.30 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 მხ. ფილმი "მხიარული ალდგომა"
14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა"
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "მთრთოლვარე გულები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "დაუმტვრიე ძვლები"
10.20 მხ.ფ. "ოცნება რიზონა"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი"
22.15 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 ინფორმატორი
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "ცენტრი" განმეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ღამურა"
19.00 ქათული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 "უცნობი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ყველაფერი რიგზეა". მთ. როლებში ვინს ვონი, ჯონ ფაბრო
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ვამპირთა ღამე" მთ. როლებში ჯონათან შეკ, იზაბელა მიკო
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "პოლკოვნიკი რიდლი"
14.35 მხ.ფ. "რობინ ჰუდი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მულტფილმი "კოსმოსური კალათბურთი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
22.30 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის?
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ. ფილმი "პირადი მცველი"
13.50, 17.15, 18.45, 21.10, 21.45, 00.20 მუსიკა
14.00, 19.00 "დისქავერი"
14.30, 17.15, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
14.45, 15.15 მაცაცერა
16.45 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 30-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 30-ე სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.25 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
21.50 მხ.ფ. "მევერიკი".
00.40 მხ.ფ. "უსაფრთხოების ერთიანი ზონა"

### აჭარის ტელევიზია

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Новости в воскресенье
10.00 ქართული მხატვრული ფილმი "ალავერდობა"
10.40 "სათქმელი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა" 2 ნაწილი
13.35 მხატვრული ფილმი "გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი!"
14.50 დოკუმენტური ფილმი
16.00 საინფორმაციო გამოშვება
16.15 მულტსერიალი "უხსოვარი დროის დედამიწა"
17.25 მელოდრამა "ყველა ქალის ოცნება"
19.00 საინფორმაციო გამოშვება
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 კომედია "კავკასიელი ტყვე ქალი"
20.45 ქართული მხატვრული ფილმი "ელისო"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 დრამა "ტელევიქტორინა"
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 მელოდრამა "ჯერი მაგუაიერი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მუსიკალური ტაიმაუტი
11.10 მულტსერიალი
11.25 "სახლიდან გაუსვლელად"
11.55 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (განმეორებით)
12.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 "სახლიდან გაუსვლელად"
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.35 ფეხბურთი: საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.10 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.15 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.35 მოკლედ... სპორტი
21.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.50 "სახლიდან გაუსვლელად"
22.20 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ვარსკლავური გზა" ა.შ.შ. 1990 წელი. ფანტასტიკა. რეჟისორი - რიკ ბერმანი.
00.15 პრესის მიმოხილვა
00.25 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - "სიკვდილის ხაზი"
03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

До 16.00 - профилактика
16.00 Новости.
16.16 Страна чудес: "ПО ДОРОГ ДОМОЙ: ПОТЕРЯННЫЙ В САН-ФРАНЦИСКО"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.00 Вечерные новости.
19.20 "Кто хочет стать миллионером?"
20.20 "Новые самураи"
22.00 Время
22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
23.40 Приключенческий сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 Цивилизация. Сигизмунд Леваневский
01.45 Хоккей. Международный турнир "Кубок "Спартка". "Спартк" - ЦСКА. 2-й и 3-й периоды.

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.15, 15.20 Вести-спорт
09.15 "Хронограф"
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 х.ф."УЖИН С УБИЙСТВОМ"
12.20 Сказки о любви
13.20 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. МЕСТЬ"
17.30 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.00 Вести
21.35 Местное время. Вести-Москва
1.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ЧУЖАЯ МАСКА" 1-я часть
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "БОЛЬШОЙ ПЕРЕПОЛОХ"
02.10 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Испании - сборная Кореи. 1/4 финал.

### НТВ

07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ" Информационно-развлекательная программа
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ. СКОРОСТЬ ПУЛИ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ Информационная программа
11.25 "ОЧНАЯ СТАВКА" "Сын-наводчик"
11.55 "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" сериал
13.15 "ДВА ТОВАРИЩА" фильм. В ролях. Виктор Проскурин и Ирина Розанова
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня. "МАМЕНЬКИНЫ СЫНКИ"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
18.35 "ПЕЙЗАЖ С УБИЙСТВОМ" многосерийный детектив
19.40 "КРИМИНАЛ"
20.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ЛОВУШКА ДЛЯ МАМОНТА"
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
23.35 "СССР-США. КОНЕЦ ИСТОРИИ" Программа А.Гордона и фильм Клинта Иствуда "ОГНЕННЫЙ ЛИС"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში